საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 272 (10358) | ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:


საქონელგაცვლა სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის (1-ლი გვერდი).
ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს ინდოეთის კუსტარულ ნაკეთობათა გამოფენა (1-ლი გვერდი).
თბილისს ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი (1-ლი გვერდი).
სრულიად საკავშირო თათბირი მეცხვარეობის შესახებ (მე-2 გვერდი).
შ. კახიძე. — პარტიის XX ყრილობის შესახვედრად (მე-2 გვერდი).
მ. ვარდოსანიძე. — კომკავშირის თბილისის XXX საქალაქო კონფერენცია (მე-2 გვერდი).
სადღეისო თემაზე. — პერიფერიულ საწარმოებს მეტი დახმარება და კონტროლი (მე-3 გვერდი).
სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკიდან. — ვ. ბიწაძე. — განვამტკიცოთ მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა (მე-3 გვერდი).
გ. ძნელაძე. — შემოქმედებითი თანამეგობრობა (მე-3 გვერდი).
ა. კუსრაშვილი. — სტუდენტთა საერთაშორისო დღე (მე-3 გვერდი).
გ. ტატიშვილი. — ნორვეგია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის დეპეშები (მე-4 გვერდი).


# კომკავშირი და სკოლა

საბჭოთა სკოლას დიდი და საპატიო როლი აკისრია კომუნიზმის კულტურული, განათლებული მშენებლების, პარტიის, ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამ კეთილშობილური და პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტაში სკოლას დიდ დახმარებას უწევს ლენინური კომკავშირი.

მონაწილეობა საბჭოთა სკოლის შემდგომ განმტკიცებაში, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებაში კომკავშირის ღვიძლი საქმეა. სკოლას და კომკავშირს საერთო მიზნები და ამოცანები აქვთ. ისინი მოწოდებული არიან აღზარდონ მომავალი თაობა სამშობლოს უანგარო სამსახურისა და კომუნიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ჩაუნერგონ ახალგაზრდობას საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები — შრომისადმი სიყვარული, მხნეობა, შეუპოვრობა, რწმენა ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი, მზადყოფნა დაძლიოს ყოველგვარი სიძნელე და წინააღმდეგობა.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენი სკოლებისა და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემოღებასთან დაკავშირებით. კომკავშირული ორგანიზაციების ვალია დაუცხრომლად იბრძოლონ პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სკოლებს სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობის საქმეში, მჭიდროდ დაუკავშირონ პოლიტექნიკური სწავლება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას.

ახალგაზრდობის აღზრდაში დიდ როლს ასრულებენ სკოლისგარეშე დაწესებულებები. კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად, ფართოდ გამოიყენონ ეს დაწესებულებანი ბავშვთა შორის მუშაობისათვის.

კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი, განუყოფელი ნაწილია ფიზიკური აღზრდა. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობა უნდა იზრდებოდეს ჯანსაღი და ძლიერი. კომკავშირი სათავეში უნდა ედგეს მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული მუშაობის გაშლის საქმეს.

საქართველოს კომკავშირი დაუღალავად იბრძვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. წელს საქართველოს კომკავშირმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების რიცხვი. ამჟამად მათ რიგებში 138 ათასზე მეტი ალკკ წევრი ითვლება. ცოტა როდია მებრძოლი, ინიციატივიანი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც მრავალფეროვან საინტერესო და შინაარსიან საქმიანობას ეწევა, რაზმავს კომკავშირელებსა და მთელ ახალგაზრდობას სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

კომკავშირის თბილისის XXX საქალაქო კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ყურადღება გაამახვილა სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე, ქალაქის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

სერიოზულ მუშაობას ეწევა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 62-ე საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია. აქ სისტემატურად სწავლობენ და განიხილავენ კრებებზე მოსწავლეთა წარმატებისა და დისციპლინის საკითხს. კომკავშირელები აქტიურად იბრძვიან მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის. სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა პიონერთა რაზმების მუშაობას. კომკავშირის ორგანიზაცია სკოლისგარეშე მუშაობის სული და გულია. კომკავშირელთა ინიციატივით ამჟამად მოსწავლეები სკოლისათვის აშენებენ სათბურს.

მოსწავლეთა შორის ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას აწარმოებს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია. მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად კომკავშირელები აქტიურად იბრძვიან სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვისათვის. კომკავშირელები კარგ ინიციატივას იჩენენ სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მოვლის საქმეში. სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს ვარდისუბნის მტს-თან. ბევრი მოსწავლე უკვე დაეუფლა ტრაქტორის მართვას.

მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს თბილისის კალინინის რაიონის 43-ე რუსული საშუალო სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას. კომკავშირის ორგანიზაცია აქტიურად იბრძვის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. კომკავშირელები მოწინავენი არიან სწავლაში.

ამასთან ერთად რესპუბლიკის მთელი რიგი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი სასკოლო ორგანიზაცია სუსტად იბრძვის მოსწავლეთა წარმატების ამაღლებისა და სკოლაში დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სუსტად მუშაობს თბილისის მოლოტოვის რაიონის 32-ე საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია. სკოლაში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, არის დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები. კომკავშირის კომიტეტი არავითარ ღონისძიებას არ ახორციელებს მოსწავლეთა წარმატების ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების მიხედვით სკოლაში 75 კომკავშირელი ჩამორჩება სწავლაში.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ზესტაფონის 1-ლი საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობას. სკოლაში ბევრია აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე და მათ შორის კომკავშირელებიც. აქ მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ეწყობა კომკავშირული კრებები. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იდგა კომკავშირულ კრებაზე მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საკითხი. კრება მოუმზადებლად მოეწყო, კამათში მხოლოდ ერთმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ საკითხზე კრებას არავითარი დადგენილება არ მიუღია.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მასწავლებელთა დახმარებაზე. ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლები ყურადღებას არ აქცევენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. მაგალითად, ბათუმის მე-17 საშუალო სკოლაში ჩაშლილია კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, ხოლო მასწავლებლები გულგრილად უყურებენ ამ გარემოებას.

საბჭოთა მოსწავლეების ცხოვრება განუყრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობასთან. ამიტომ კომკავშირული ორგანიზაციების ვალია გადაჭრით გააუმჯობესონ პიონერთა რაზმების საქმიანობა.

სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ მშობელთა კომიტეტებთან. დახმარება უფროს კლასელებისადმი პროფესიის სწორად არჩევის საქმეში მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად კომკავშირული ორგანიზაციების საპატიო ამოცანაა.

პარტიული ხელმძღვანელობა წარმოადგენს კომკავშირის ძლიერებისა და სიმტკიცის წყაროს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, ყოველმხრივ დაეხმარონ კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს და რეზერვს — ლენინურ კომკავშირს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

## გეგმების შესრულება

საჩხერის რაიონმა სილოსის ჩადების გეგმა 15 ნოემბრისათვის 103,9 პროცენტით შეასრულა. ჩადებულია 6.236 ტონა სილოსი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.000 ტონისა. კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შესრულებულია 101,8 პროცენტით, ბოსტნეულის სავალდებულო და სახელმწიფო შესყიდვისა — 100,3 პროცენტით, ხილის დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვისა — 155,5 პროცენტით. დამზადებულია და სახელმწიფოს ჩაბარდა 125 ტონა ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ტონისა.

# საქონელგაცვლა სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის

15 ნოემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის 1956-1958 წლებში საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ. ეს ოქმი აწესებს ურთიერთ მისაწოდებელი ძირითადი საქონლის სიებს სამი წლის პერიოდისათვის.

ნორვეგია ამ პერიოდის განმავლობაში მიაწვდის საბჭოთა კავშირს ვეშაპის ქონს, დამარილებულ ქაშაყსა და ალუმინს. საბჭოთა კავშირი ნორვეგიას მიაწვდის მარცვლეულს, ნავთობპროდუქტებს, მანგანუმისა და ქრომის მადანს და აპატიტ-კონცენტრატს.

ამავე დროს ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის საქონლის დამატებითი ურთიერთმიწოდების შესახებ 1956 წლისათვის.

1956 წელს ნორვეგია საბჭოთა კავშირს მიაწვდის ვეშაპის ქონს, შტაპელის ბოჭკოს, დამარილებულ და გაყინულ ქაშაყს, ალუმინს, ზურგიელს და სხვა საქონელს. საბჭოთა კავშირი ნორვეგიას მიაწვდის მარცვლეულს, ნავთობპროდუქტებს, მანგანუმისა და ქრომის მადანს, აპატიტ-კონცენტრატს, ბამბას, აზბესტს, კანიფოლს, ნაფტალინს, ავტომობილებს, მოტოციკლებს და სხვა საქონელს.

ამ ოქმებით საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის 1956 წელს შეადგენს 140 მილიონ მანეთს.

## ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის დოკუმენტებს

15 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის დოკუმენტებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენმა ინიციალებით მოაწერეს ხელი საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კომუნიკეს ტექსტს.

შემდეგ საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა და ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრმა ა. სკაუგმა ხელი მოაწერეს ოქმს 1956-1958 წლებში სსრ კავშირისა და ნორვეგიის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ და ოქმს 1956 წელს სსრ კავშირისა და ნორვეგიის საქონლის დამატებითი ურთიერთ მიწოდების შესახებ.

საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ: ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი და ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ნორვეგიაში ა. ტ. ავერიჩევი.

ნორვეგიის მხრივ დაესწრნენ: ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი, სსრ კავშირში მყოფი ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ს. სომერფელტი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების უფროსი ო. ოსი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰეიბერგი.

დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

(საქდესი).

## ნ. ს. ხრუშჩოვისა და ა. ი. მიქოიანის საუბარი ნორვეგიის პრემიერ-მინისტრთან ე. გერჰარდსენთან

15 ნოემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის საუბარი ნორვეგიის პრემიერ-მინისტრთან ეინარ გერჰარდსენთან.

საუბარს დაესწრნენ: ნორვეგიის მხრივ — ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი, ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი, სსრ კავშირში მყოფი ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ს. სომერფელტი და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰეიბერგი; საბჭოთა კავშირის მხრივ—სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ვ. ს. სემიონოვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი. (საქდესი).

## პრემიერ უ ნუს დეპეშა ჰერმეზიდან პრემიერ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

ძალიან მადლობელი ვარ თქვენი და თქვენი კოლეგებისა ყოველივე იმისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ ჩემთვის, ჩემი მეუღლისა და ჩემი მისიის წევრებისათვის თქვენს დიდ ქვეყანაში ჩვენი ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო ყოფნის დროს.

გავიარეთ რა თითქმის ათი ათასი მილი საბჭოთა რუსეთში, დღეს მივფრინავთ ბირმაში საბჭოთა თვითმფრინავებით, რომლებიც თქვენ უაღრესად თავაზიანად გადმოგვეცით ჩვენს განკარგულებაში.

ის განსაკუთრებით გულთბილი მიღება, რაც საბჭოთა ხელმძღვანელებმა და ხალხმა მოგვიწყეს, სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ჩემი ვიზიტი საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო გააძლიერებს ჩემს მტკიცე განზრახვას ვიბრძოლო მშვიდობისათვის. მჯერა, რომ ჩვენ ერთად განვაგრძობთ ბრძოლას მშვიდობისათვის.

ნება მიბოძეთ თქვენი მეშვეობით ერთხელ კიდევ საჩუქრად შევთავაზო საბჭოთა კავშირის მშრომელებს სამასი ტონა ბრინჯი, გარდა იმ ორასი ტონისა, რომელიც მე საჩუქრად გავიღე მოსკოვში.

გთხოვთ ჩემი სალამი გადასცეთ მის აღმატებულებას პრეზიდენტს და ამხანაგ ხრუშჩოვს, აგრეთვე ჩემი საუკეთესო სურვილები ამხანაგებს კაგანოვიჩს, მალენკოვს, მოლოტოვს, მიქოიანს, პერვუხინს, საბუროვსა და სხვა თქვენს კოლეგებს.

გისურვებთ თქვენ და თქვენს კოლეგებს სასიამოვნო გამომგზავრებას ბირმაში.

**უ ნუ**

## ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს ინდოეთის კუსტარულ ნაკეთობათა გამოფენა

16 ნოემბერს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს ინდოეთის კუსტარულ ნაკეთობათა გამოფენა.

ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, ა. ი. მიქოიანსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ინდოეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბანი რატნამი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მეუღლე ქ-ნი მენონი, გამოფენის დირექტორი კ. გხოში, ინდოეთის საელჩოს თანამშრომლები და გამოფენის მუშაკები.

ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი და ნ. ს. ხრუშჩოვი თითქმის ორი საათის განმავლობაში დიდი ინტერესით ეცნობოდნენ გამოფენის ექსპონატებს. გამოფენის დათვალიერების დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დამთვალიერებელთა წიგნში შეიტანეს გულითადი ჩანაწერი ინდოელ მშრომელთა დიდი ოსტატობის შესახებ. ამ ჩანაწერში ნათქვამია:

„ჩვენ იმდენი კარგი რამ ვნახეთ, რომ ძნელია სიტყვით გამოთქმა. გამოფენა მკაფიოდ მოწმობს ინდოელი ხალხის დიდ, ძველისძველ ხელოვნებას, რომელიც ჩაისახა კაცობრიობის კულტურის გარიჟრაჟზე.

ვუსურვებთ ინდოელ ხალხს განვითარებინოს თავისი წვრილი ინდუსტრია, რის ბაზაზე შეიძლება განამტკიცოს მოპოვებული დამოუკიდებლობა და გააუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა.

16-11-55 წ.

ნ. ბულგანინი
ა. მიქოიანი
ნ. ხრუშჩოვი".

გამოფენის დათვალიერების სამახსოვროდ ამხანაგებს ბულგანინს, მიქოიანსა და ხრუშჩოვს მიართვეს სუვენირები — სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი ინდოეთის რესპუბლიკის ეროვნული გერბის გამოსახულება, მაჰათმა განდის სკულპტურული პორტრეტი და ინდოეთის სამოდრისა და ნაყოფიერების ალეგორიული გამოსახულება. (საქდესი).

# მოსკოვიდან გაემგზავრა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი

16 ნოემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიწვევით იმყოფებოდა სსრ კავშირში. [illegible]

კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ თ. თ. მოლოჩკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილემ ს. ა. აფანასიევმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ს. კოლესნიკოვმა.

პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი გააცილეს აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში, სსრ კავშირში ნორვეგიის საელჩოს თანამშრომლებმა, საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა.

პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენის გასაცილებლად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

...პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი ეთხოვება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, საელჩოებისა და მისიების მეთაურებს. შემდეგ მიდის მიკროფონთან და წარმოთქვამს შემდეგ სიტყვას.

## ბ-ნ ე. გერჰარდსენის სიტყვა

[illegible]

...ლის ურთიერთგაგებისა და მეგობრობისათვის. ჩვენს მადლობას გვსურს აგრეთვე დავძინოთ საუკეთესო სურვილები საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა კავშირი დიდი და მდიდარი ქვეყანაა. მაგრამ თავისი შედარებით მოკლე ისტორიის განმავლობაში მას მოუხდა მოღვაწეობის ძნელი პირობების გადატანა.

პრეზიდენტმა ვოროშილოვმა თქვა, როცა შვეციის პარლამენტის დელეგაციას მიმართა: მთელი ჩვენი ისტორიის დროის 27 პროცენტი ჩვენ მოგვიხდა ომის წარმოებისათვის მოგვენდომებინა. ამ დროის 60 პროცენტი მოუნდა აღდგენას. და მან დასძინა — მოგვეცით შესაძლებლობა მშვიდობიანად ვიცხოვროთ 50 წელიწადს, და თქვენ დაინახავთ უდიდეს შედეგებს.

სულითა და გულით ვუსურვებთ საბჭოთა კავშირს მშვიდობას მთელი დროის განმავლობაში, მშვიდობას, რათა შესაძლებლობა ექნეს მთელი თავისი ძალები მოახმაროს მშვიდობიან, შემოქმედებით მუშაობას. კვლავ ვიმეორებ ჩემს მადლობას და საუკეთესო სურვილებს საბჭოთა კავშირისათვის, მისი ხალხებისა და მისი ხელმძღვანელებისათვის.

*

[illegible] ...ტუმრებიან სტალინგრადს, თბილისსა და ლენინგრადს.

საბჭოთა კავშირში მგზავრობის დროს ბ-ნ ე. გერჰარდსენს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი, აგრეთვე ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი. (საქდესი).

## თბილისს ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი

16 ნოემბერს, [illegible] ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი. [illegible] ო. ოსი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰეიბერგი და პრემიერ-მინისტრის სხვა თანმხლები პირები, ნორვეგიელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი, აგრეთვე ნორვეგიის ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი.

თბილისის აეროდრომი მორთულია ნორვეგიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით.

აეროდრომზე სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ქ. ს. ციმაკურიძე, დ. გ. მამაცაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ლ. გუნია, ა. ნ. ინაური, ნ. ი. მუსხელიშვილი, მ. ი. ბურჯულაძე, მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პრესის მუშაკები.

აეროპორტის პერონს ნელა მოადგნენ თვითმფრინავები. ტრაპზე ჩამოდიან პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი და მასთან ერთად ჩამოსული პირები, რომელთაც შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ.

შესრულებულ იქნა ნორვეგიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ე. გერჰარდსენს მიმართა და საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმა მ. ი. კუჭავა.

საპასუხო სიტყვაში ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენმა მადლობა გადაიხადა გულთბილი და გულითადი მიღებისათვის, რომელიც მას და მის თანმხლებ პირებს მოუწყეს როგორც თბილისში, ისე მოსკოვში.

— თქვენს შეხვედრებს ჩვენ ვიღებთ, — თქვა მან, — როგორც ნორვეგიელი ხალხისადმი პატივისცემის ნიშანს. ჩვენ ისევე, როგორც თქვენ, გვსურს მთელი ძალები მოვახმაროთ მშვიდობის შენარჩუნებას და ვითანამშრომლოთ მშვიდობის სასარგებლოდ.

* * *

16 ნოემბერს საღამოს ნორვეგიელი სტუმრები რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში დაესწრნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს სტალინური პრემიის ლაურეატების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. (საქდესი).

# სრულიად საკავშირო თათბირი მეცხვარეობის შესახებ

15 ნოემბერს სრულიად საკავშირო თათბირზე მეცხვარეობის შესახებ გრძელდებოდა განხილვა მოხსენებებისა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანების შესახებ მატყლის წარმოებისა და დამზადების გადიდების, მეცხვარეობის შემდგომი განვითარების დარგში.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი. თათბირის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მათ.

პირველმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ასტრახანის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. განენკომ. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ამბობს იგი, ამ უკანასკნელ წელს 43 პროცენტით გაადიდეს მატყლის წარმოება, ამასთან ნაზი და ნახევრადნაზი მატყლისა — ერთიორად. ოლქს ყველა შესაძლებლობა აქვს ვადამდე შეასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მატყლის წარმოების გადიდების შესახებ. მოწინავე მეცხვარეობის კოლმეურნეობებში თვითეულ ცხვარზე საშუალოდ 5 კილოგრამზე მეტ მატყლს იღებენ, ხოლო საუკეთესო მწყემსთა ფარებში — 10-12 კილოგრამს.

სტავროპოლის მხარის საბჭოთა მეურნეობებში გამოყვანილია ნაზმატყლიანი ცხვრის მაღალპროდუქტიული ჯიშები — „კავკასიური" და „სტავროპოლური", რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს მატყლის წარმოების გადიდებაზე, თქვა თავის სიტყვაში მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის „სოვეტსკოე რუნოს" ზოოტექნიკოსმა ამხ. სნეგოვოიმ. წელს საბჭოთა მეურნეობა „სოვეტსკოე რუნოს" 26 ათასი ცხვრისაგან თვითეულზე მიღებულია 7,8 კილოგრამი მატყლი, ამასთან წმინდა მატყლის გამოსავლიანობა 43 პროცენტს შეადგენს. მეურნეობა წელს 5 მილიონ მანეთზე მეტ მოგებას მისცემს სახელმწიფოს.

ამხ. სნეგოვოი დაწვრილებით ეხება მეცხვარეობის განვითარების პროგრესულ მეთოდების უპირატესობას—ზამთრისა და ადრე გაზაფხულის დოლს და ბატკნისა და დედაცხვრის ცალცალკე მოვლა-შენახვას. ეს ზრდის დედაცხვრის ნაყოფიერებას და მატყლის პროდუქტიულობას. სოციალისტური შრომის გმირების — უფროსი მწყემსების ამხ. ზოლოტარიოვისა და ამხ. ზალივადნის ფარებში თვითეულ ას დედაცხვარზე წელს მიღებულია 146-148 ბატკანი.

ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ამხ. ლუშჩიხინმა აღნიშნა, რომ ყირგიზეთის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს უფრო ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას, ვიდრე მეცხოველეობის სხვა დარგებს.

ადგილობრივი და ნაზმატყლიანი ცხვრის შეჯვარების გზით მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა შექმნეს მთის ტიპის ჯიშის ჯგუფი. ახალი ყირგიზული ჯიშის დედაცხვრის წონა 60-64 კილოგრამს აღწევს, საშუალო ნაპარსი 4-4,5 კილოგრამ მატყლს. ახალი ჯიშის ჯგუფის ცხოველები იძლევიან მაღალხარისხოვან ხორცსა და ქონს, კარგად ეგუებიან მთელი წლის საძოვრულ მოვლა-შენახვასა და დიდ მანძილზე გარეკვას.

ამხ. ლუშჩიხინს საჭიროდ მიაჩნია, რომ ყირგიზეთისათვის შეიმუშაონ კულტურული სამთოსაძოვრული მეცხვარეობის სისტემა.

მიუხედავად მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთგვარი მიღწევებისა, თქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კისელიოვმა, მეცხვარეობას ოლქში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანი აქვს.

განიხილეს რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შესახებ, ოლქის მეცხოველეებმა მთელი რიგი ღონისძიებანი შეიმუშავეს მეცხვარეობის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვნად ფართოვდება სიმინდის ნათესი, რომლის სილოსიც საუკეთესო საკვებია ცხვრისთვისაც. წარმოებს ფარეხებისა და ჰების დიდი მშენებლობა. განზრახულია უხეშმატყლიანი ცხვარი ყველგან შეიცვალოს ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრით.

სიტყვა ეძლევა იაროსლავლის ოლქის ტუტაევის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი დრუჟინნიკის" მეცხვარეობის ფერმის გამგეს ამხ. კოჩნევს. ამ ფერმაში მოშენებული ყავთ რომანოვული ჯიშის ცხვარი, რომელიც განთქმულია საქურქე ტყავისა და მატყლის მაღალი ხარისხით. ფერმაში ბეჯითად მუშაობენ ცხვრის გასაუმჯობესებლად. ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში დედაცხვრის საშუალო წონა 48 კილოგრამიდან 60-70 კილოგრამამდე გადიდდა, ხოლო ყოჩების წონა ას კილოგრამს აღემატება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გროზნოს საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. უგალინი ამბობს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უფრო კონკრეტულად სწავლობენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების საქმიანობას, მეტ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მუშაობაში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 240 გამოცდილი პარტიული მუშაკი გაიგზავნა. მეცხვარეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად, როგორც წესი, მუშაობენ რაიკომების ყოფილი მდივნები და რაიაღმასკომების ყოფილი თავმჯდომარეები. მეცხოველეთა კადრების განსამტკიცებლად და ფერმებში კულტურის გასაუმჯობესებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 400-ზე მეტი ზოოტექნიკოსი და ვეტერინარი მუშაკი გაიგზავნა. ამ ღონისძიებებმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა. მეტწილ კოლმეურნეობებს თვითეულს მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს. მოწინავე მეურნეობებმა თვითეული ცხვრისაგან 6-6,5 კილოგრამი ნაზი მატყლი მიიღეს.

ამხ. უგალინი წინადადებას იძლევა შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში სპეციალური სკოლები მწყემსთა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

შემდეგ გამოდის ამხ. ნაზაროვი — თურქმენეთის სსრ საკრაველე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს უფროსი. ხუთ წელიწადში, ამბობს იგი, საკრაველე ცხვრის სულადობა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 51 პროცენტით, ხოლო საკრაველე ჯიშის დედა ცხვრის რიცხვი ფარაში 73 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს გაცილებით მეტი კრაველი და მატყლი, ვიდრე შარშან. ყველა ჩვენი საკრაველე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა რენტაბელურია. ამ საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს შარშან 18 მილიონ მანეთამდე მოგება მისცეს, წელს კი მეტს მისცემენ.

უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. მუხამეჯანოვმა თავისი სიტყვა მიუძღვნა რესპუბლიკაში მეკრაველეობის განვითარებას. საკრაველე ცხვრის სულადობის გადიდებისა და მათი ნაყოფიერების გაძლიერების შესაძლებლობა დიდია, ამბობს იგი, მაგრამ ამ შესაძლებლობას სუსტად ვიყენებთ. უზბეკეთში გვაქვს მილიონობით ჰექტარი ჯერ კიდევ აუთვისებელი საძოვრები, მათი მორწყვა საშუალებას მოგვცემს ბევრად გავადიდოთ საკრაველე ცხვრის სულადობა.

სტავროპოლის მხარის ნევინომისკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის უფროსმა მწყემსმა ამხ. საპოჟნიკოვმა ილაპარაკა თავისი ბრიგადის მუშაობაზე, რომელმაც თვითეული ცხვრის საშუალო ნაპარსი 6,4 კილოგრამიდან 7,8 კილოგრამამდე გადიდა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. კობახიძემ, სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხვარეობის მთავარმა ინსპექტორმა ამხ. მელქონიანმა, ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორმა ამხ. ნიკოლაევმა.

საღამოს თათბირის მონაწილენი მუშაობდნენ ექვს სექციაში — საჯიშე საქმისა და ხელოვნური დათესლვის, შრომის ორგანიზაციისა და მეცხვარეობის ეკონომიკის, საკვები ბაზისა და ცხვრის კვების, მექანიზაციისა და მშენებლობის, სახორცე-სამატყლე და საქურქე მეცხვარეობის, საკრაველე და დუმიანი ცხვრის მოშენების სექციებში.

დღეს დილიდან თათბირის სექციები მუშაობას განაგრძობენ. (საქდესი).

# კომკავშირის თბილისის XXX საქალაქო კონფერენცია

თბილისის მრავალი ათეული ათასი კომკავშირელი თავდადებით მუშაობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა, საკავშირო ალკკ XII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით დედაქალაქის ახალგაზრდობას სერიოზული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. კომკავშირელები საწარმოებში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის მოწინავე რიგებში არიან, წარმატებით ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კომკავშირული საგზურებით 800-მდე ახალგაზრდა გაემგზავრა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ბევრი ახალგაზრდა თავისი სურვილით წავიდა სამუშაოდ რესპუბლიკის საწარმოებში.

მაგრამ დედაქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციას თავის მუშაობაში ნაკლოვანებებიც აქვს. სწორედ ამ ნაკლოვანებებზე, მათი აღმოფხვრის ღონისძიებებზე გაამახვილეს ყურადღება თბილისის კომკავშირელთა წარმომადგენლებმა თავიანთ XXX საქალაქო კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

### მეტი ყურადღება ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას

კონფერენციაზე მომხსენებელმა — კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ და კამათში გამოსულებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს. ქალაქის ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს ახალგაზრდობის აღზრდის მრავალფეროვან ფორმებსა და საშუალებებს, როგორიც არის კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელი, ლექციური პროპაგანდა, ყოველდღიური საგიტაციო-მასობრივი მუშაობა და სხვ.

— თუ ციფრების მიხედვით ვილაპარაკებთ, — ამბობდნენ კონფერენციაზე დელეგატები, — წელს შარშანდელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმეს ზოგჯერ ზერელედ მოეკიდნენ.

კომკავშირის ლენინისა და კიროვის რაიკომები გვიან შეუდგნენ პოლიტიკური განათლების ქსელის დაკომპლექტებას, დაუშვეს შეცდომები, რის გამო ხშირია წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები. აღინიშნა ისიც, რომ ზოგან სათანადო ყურადღებით არ მოეკიდნენ პროპაგანდისტთა შერჩევას და მათ იდეურ გამოწრთობას. მოისუსტებს დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი დახმარება და კონტროლი.

წელს ახალგაზრდობისათვის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების მომხსენებელთა ჯგუფების ძალებით წაკითხულია 3.580 ლექცია და მოხსენება. გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდის ხარისხი, შემცირდა ლექციების ჩაშლისა და გადადების შემთხვევები. მაგრამ არის ნაკლიც. ხშირად ლექციები და მოხსენებები კამპანიურად იკითხება. ლენინის რაიკომმა აპრილში 4 ლექცია მოაწყო, ხოლო მაისიდან სექტემბრამდე არც ერთი.

— საქალაქო კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფმა, — თქვა სტალინის რაიკომის მდივანმა გ. გამცემლიძემ, — მართალია, რამდენადმე გააუმჯობესა მუშაობა, მაგრამ ხშირად მის მიერ მოწყობილი ლექცია ნაკლებად არის დაკავშირებული იმ საწარმოს ცხოვრებასთან, სადაც ლექცია იკითხება.

კონფერენციის დელეგატებმა მოითხოვეს ხშირად იკითხებოდეს ლექციები კომკავშირის ისტორიის, ამხანაგობისა და მეგობრობის საკითხებზე.

### პატრიოტული შრომის ავანგარდში

დედაქალაქის კომკავშირელები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, აქტიურად ჩაებნენ სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ წარმატებებს აღწევენ. ამჟამად დედაქალაქის საწარმოებში 5.492 ახალგაზრდა მუშაობს მომავალი ხუთწლედის ანგარიშში.

ამასთან ერთად კონფერენციაზე აღინიშნა, რომ თითქმის ყველა საწარმოშია ახალგაზრდა მუშა, რომელიც გამომუშავების ნორმას ვერ ასრულებს, არღვევს შრომის დისციპლინას. ასეა მაგალითად, ავტოსარემონტო ქარხანაში.

— წარმოებაში ახალმოსულ მუშას ბევრი სიძნელე ხვდება, — თქვა ლენინის რაიკომის მდივანმა ს. მიქაძემ. — იმის გამო, რომ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები და საწარმოთა ხელმძღვანელები არასაკმაო აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან ახალმოსულ მუშათა შორის, მათზე მოდის შრომის დისციპლინის დამრღვევთა ყველაზე მეტი პროცენტი. ბევრ საწარმოში სოციალისტურ შეჯიბრებას, ტექნიკური წრეების საქმიანობას ფორმალური ხასიათი აქვს, ამიტომაც არის, რომ რაიონში 200-ზე მეტი ახალგაზრდა ჩამორჩენილთა რიცხვშია.

საწარმოს ახალგაზრდებთან სუსტად არიან დაკავშირებული კომკავშირის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის მუშაკები. ისინი ნაკლებად გამოდიან მუშა ახალგაზრდობის წინაშე ლექციებით, მოხსენებებით. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. სამანიშვილი და კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე მუშა კბილანების მჭრავი ი. ბელოუსოვი.

ზოგჯერ საწარმოთა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ფორმალურად ეკიდებიან ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმეს. ყურადღება არ ექცევა ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას. ამ ბოლო დროს ახალგაზრდა გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან მუშაობა გაძლიერდა, მაგრამ ეს საკმარისი როდია. კუიბიშევის სახელობის ხისდამმუშავებელ ქარხანაში იყო რაციონალიზატორულ წინადადებათა დიდი დაგვიანებით განხორციელების შემთხვევები.

დელეგატებმა — პირველი სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლ. გამრეკელმა, 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ბ. კუხიანიძემ და სხვებმა გააკრიტიკეს ახალგაზრდული გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი" და „მოლოდოი სტალინეცი" იმისათვის, რომ მათს ფურცლებზე იშვიათად ქვეყნდება მასალები წარმოების მოწინავეთა გამოცდილების შესახებ, საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სკოლებზე, საშეფო მუშაობასა და სხვა საკითხებზე.

### გავაძლიეროთ მუშაობა სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობაში

კომკავშირი მოწოდებულია საბჭოთა სკოლასთან ერთად გადაწყვიტოს ბავშვთა აღზრდისა და სწავლების მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა. ამ მხრივ ბევრი სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაცია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ისინი მსჯელობის საგნად ხდიან თვითეული მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენის, დისციპლინის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს. სკოლების პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს. ბევრ სკოლაში მოეწყო სასწავლო სახელოსნოები, საცდელი ნაკვეთები. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, სკოლებისადმი საწარმოთა საშეფო დახმარება გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს.

დედაქალაქის 12 უმაღლეს სასწავლებელსა და 42 ტექნიკუმში 27.000-ზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება მეცნიერების მწვერვალებს. კომკავშირული ორგანიზაციები იმისათვის ზრუნავენ, რომ სამშობლოს აღუზარდონ ყოველმხრივ განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული კადრები. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, როგორც აღნიშნეს მომხსენებელმა და დელეგატებმა — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტების მდივნებმა ჭ. ჭყონიამ, დ. როგავამ, კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა დ. დათუაშვილმა, ჯერ კიდევ ბევრია კომკავშირელი, რომელიც სწავლაში ჩამორჩება, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

— ზოგიერთი ახალგაზრდა, მათ შორის კომკავშირელიც, — თქვა თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა ა. ძრიელიშვილმა, — კომკავშირისათვის შეუფერებელ საქციელს სჩადის, ხულიგნობს. საჭიროა კომკავშირმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადოს ამორალობის ყოველ გამოვლინებას, მთელი ენერგიით იბრძოლოს საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების, დისციპლინიანი, შეგნებული თაობის აღზრდისათვის.

კულტურულ-მასობრივ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. საწარმოებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და ყველგან, სადაც კი ამის საშუალებაა, შექმნილია თვითმოქმედების კოლექტივები. ეწყობა თემატური და დასვენების საღამოები, ექსკურსიები, ტურისტული სვლები.

მაგრამ, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ამ ღონისძიებებში ახალგაზრდობის ძალიან ვიწრო წრე მონაწილეობს.

თბილისი კარგი სპორტული ტრადიციის მქონე ქალაქია. 578 სპორტულ სექციასა და კოლექტივში 52.063 ახალგაზრდაა გაერთიანებული. ხშირად ეწყობა მასობრივი ღონისძიებანი და შეჯიბრებანი. მაგრამ ამ საერთო წარმატებებს უკან სერიოზული ნაკლოვანებები იფარება. ფიზკულტურული მოძრაობა ნამდვილად ფართო და მასობრივი არ არის, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადება.

### შინაკომკავშირული საქმიანობა — მაღალ დონეზე

იმ დიდი ამოცანების განხორციელება, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ მისი თანაშემწის — კომკავშირის წინაშე დააყენა, მოითხოვს შინაკომკავშირული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას. საანგარიშო პერიოდში კომკავშირის საქალაქო კომიტეტი უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, კრებების მაღალ დონეზე მომზადებასა და ჩატარებას, შესრულების სისტემატურ შემოწმებას.

მსხვილ საწარმოებში მოეწყო ორდღიანი სემინარები პირველადი ორგანიზაციების მდივნებისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა შინაკომკავშირული მუშაობა მაუდ-კამვოლის კომბინატში, № 1 და № 7 სამკერვალო ფაბრიკებში, № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკაში. ამ საწარმოებში სისტემატურად ეწყობა კომკავშირული კრებები ახალგაზრდობისათვის საინტერესო საკითხებზე. სერიოზული ყურადღება ექცევა კომკავშირელთა რიგების ზრდას. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მშენებლობათა კომკავშირულ ორგანიზაციებზე. მშენებლობებზე სუსტად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. მთავარ ნაკლს რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის მუშაობაში კვლავ წარმოადგენს სუსტი კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, არმიის გენერალმა ამხ. ი. ი. ფედიუნინსკიმ.

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო. არჩეულ იქნა საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა და დელეგატები საქართველოს კომკავშირის XXI ყრილობისათვის.

* * *

შედგა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. სირაძე, მეორე მდივნად — ამხ. ვ. კაჭარავა, მდივნებად — ამხ. თ. ბადურაშვილი და ამხ. ს. გამრეკელი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილმა.

მ. ვარდოსანიძე.

# პარტიის XX ყრილობის შესახვედრად

საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით ეგებება მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. ყველგან, ქალაქად და სოფლად — ფაბრიკებში, ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, პლანტაციებსა და მეცხოველეობის ფერმებში ფართოდ გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომითი ენთუზიაზმი გამოხატავს მათს მტკიცე მისწრაფებას — ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნონ დიდი პოლიტიკური მოვლენა — პარტიის XX ყრილობა.

შემოქმედებითი შრომის ამ საყოველთაო-სახალხო ფერხულში ჩაბმული არიან ამბროლაურის რაიონის მშრომელებიც.

ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგია მევენახეობა. იგი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარი წყაროა. ამიტომ ვაზის კულტურა დიდი პატივისცემით სარგებლობს რაიონის კოლმეურნეთა შორის.

სოფელ წესის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ნატმელაძე) წელს ორჯერ მეტი ყურძნის მოსავალი მიიღო 1952 წელთან შედარებით. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 65 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52 ცენტნერისა. რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 124 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, გეგმა კი 90 ტონას ითვალისწინებდა. მევენახეობაში კარგი მაჩვენებლები აქვთ ხვანჭკარის, სადმელის, ხიდიკრის, ბოსტანის და ბევრ სხვა კოლმეურნეობას.

ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის რაიონში შექმნილია მტკიცე ბაზა. „სამტრესტის" ამბროლაურის ქარხანათსამმართველოს ხვანჭკარის, ჭრებალოსა და ამბროლაურის ღვინის ქარხნებს ყოველწლიურად შეუძლიათ მიიღონ და გადაამუშაონ 30-40 ათასი ცენტნერი ყურძენი. ყურძნის მიღება-გადამუშავების ყველა პროცესი მექანიზებულია. წელს ქარხანათსამმართველო გამოუშვებს 156 ათას დეკალიტრ ღვინოს, აქედან 30 ათას დეკალიტრ „ხვანჭკარას".

რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის. წელს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო დაწესებულ ვადებში და აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცე დაცვით შესრულდა. ამის შედეგად საშუალოდ 4 ცენტნერით გაიზარდა ხორბლის მოსავალი ჰექტარზე. საგრძნობლად გადიდდა ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურის — სიმინდის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა.

ხორბლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების მიზნით პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გაითვალისწინა გასული წლის ზოგიერთი ნაკლოვანებანი და უფრო შემჭიდროებულ ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე იქნა შესრულებული საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

რაიონის სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ყველაზე ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა მეცხოველეობა. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლამდე რძის წველადობის გეგმა რაიონს არასოდეს არ შეუსრულებია. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, ბინების კეთილმოწყობას, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. კოლმეურნეობები პირუტყვის სულადობის დაწესებულ გეგმას ასრულებდნენ არა ნამატის შენარჩუნებისა და გამოზრდის გზით, არამედ პირუტყვის შესყიდვით. ეს მეტად საზარალო იყო, კოლმეურნეობებს მეცხოველეობა მცირე შემოსავალს აძლევდა.

მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გზები დაგვისახა. პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის რაიონულმა კომიტეტმა კიდევ უფრო გააუმჯობესა კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები. საფუძვლიანად შევისწავლეთ კოლმეურნეობათა რეზერვები და შესაძლებლობანი მეცხოველეობის დარგის წინწამოსაწევად. კოლმეურნეობებში მოეწყო პირუტყვის ბაგურ-ბანაკური კვება, მთელ რიგ ფერმებში ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ფერმები განმტკიცდა კადრებით. იქ სამუშაოდ გაიგზავნა 200-ზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელი. მეცხოველეთა შორის გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. ფერმებში ჩამოყალიბდა პარტიული ჯგუფები, მოეწყო ლიტერატურით მდიდარი წითელი კუთხეები, მტკიცე კონტროლი დაწესდა პროდუქტების აღრიცხვაზე. ყოველივე ამან სასურველი შედეგი გამოიღო. რაიონმა პირველი ოქტომბრისათვის 102,5 პროცენტით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა.

პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებაზე ბევრად არის დამოკიდებული მომავალი წლის შედეგები მეცხოველეობის განვითარებაში. ამიტომ სერიოზული ყურადღება მიექცა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამ მიმართულებით მუშაობა გაზაფხულიდანვე დავიწყეთ. ამჟამად პირუტყვი უზრუნველყოფილია ზამთრის პერიოდში სამყოფი უხეში საკვებით. დროულად შესრულდა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის გეგმა. მარტო წელს აგებულია 5.800 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები, ანუ იმაზე 200 ტონით მეტი, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. მთლიანად შესრულებულია სილოსის ჩადების დავალება, ჩადებულია 9.000 ტონა სილოსი, ანუ სამჯერ მეტი შარშანდელთან შედარებით. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა კეთილმოწყობილი ბინებით პირუტყვის უზრუნველყოფისათვის. აგებულია ახალი კაპიტალური შენობები და მიმდინარეობს არსებულ ნაგებობათა შეკეთება და დათბუნება.

რაიონის მშრომელები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე. აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა დაწესებულ ვადამდე შესრულებულია 100,9 პროცენტით, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და ფულადი სახსრების ამოღების წლიური გეგმები შესრულებულ იქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის.

კარგად იმუშავა მტს-ის კოლექტივმა. საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 132 პროცენტით, ფარცხვისა — 150, სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვისა — 120, სილოსის ჩადებისა — 140 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით მოხნულია 300 ჰექტარი ნაწვერალი. გადაჭარბებით სრულდება მზრალად ხვნის გეგმაც.

რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს ადგილობრივ მრეწველობას. სამრეწველო კომბინატის სისტემაში შედის ხე-ტყის სახერხი, კრამიტის, ავეჯეულობის, კირის და სხვა ქარხნები. ამ საწარმოთა კოლექტივებმა 10 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება, აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი. ყველაზე უკეთესი შედეგები მოიპოვა კირის ქარხანამ, რომელმაც წლიური გეგმა პირველი ოქტომბრისათვის 130,7 პროცენტით შეასრულა და ამჟამად პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში უშვებს. მაღალი ხარისხის პროდუქციას ამზადებს ჭრებალოს კრამიტის ქარხანა, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა კრამიტის გამოშვების 10 თვის გეგმა. სამეურნეო წელს საამაყო საწარმოო მაჩვენებლებით ამთავრებენ აგრეთვე ავეჯის ქარხანა, ლუხუნის ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სამრეწველო კომბინატის სხვა საწარმოები.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა პირველ რიგებში არიან კომუნისტები და კომკავშირელები. ისინი ავანგარდულ როლს ასრულებენ კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

პარტიული ორგანიზაციების მიერ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებამ უზრუნველყო მასების შემოქმედებითი ინიციატივის ზრდა, მათი მჭიდრო დარაზმვა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადასაჭრელად. რაიკომის ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფი სისტემატურად აწყობს ლექცია-მოხსენებებს. კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში 600-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე მშრომელებს განუმარტავს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიული და საბჭოთა აქტივისტები მოსახლეობის წინაშე გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით, აწყობენ ლექციებსა და საუბრებს. ყველა კოლმეურნეობაში, საწარმოში, დაწესებულებაში, მეცხოველეობის სასაქონლო ფერმაში გამოდის კედლის გაზეთები, ხოლო ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებში — საველე გაზეთები და „საბრძოლო ფურცლები".

მართალია, ამბროლაურის რაიონის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით სერიოზული მიღწევები მოიპოვეს იმ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, რაც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია — ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები გამოდიოდნენ ნაკლოვანებათა გაბედული, საღი კრიტიკით, ანალიზს უკეთებდნენ გაწეულ მუშაობას და სახავდნენ გზებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ცოცხლად, მაღალ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება ბუგეულის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში. კომუნისტებმა ამხილეს საკოლმეურნეო ქონებისადმი უყაირათო მოპყრობის ფაქტები. გამგეობის ცუდი მუშაობითა და პარტორგანიზაციის წაყრუებით აიხსნება ის გარემოება, რომ ბუგეულში არ უვლიან ვენახებს, დაბალია ყურძნის მოსავლიანობა, კოლმეურნეობა ვერ ასრულებს ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმას.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები მაღალ დონეზე ჩატარდა ამბროლაურის საშუალო სკოლის, სატყეო მეურნეობის, ჭრებალოს საკოლმეურნეო და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგან იყო კრებების ნაჩქარევად, მოუმზადებლად ჩატარების ფაქტები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არც მომხსენებელს და არც კამათის მონაწილეებს არაფერი უთქვამთ ტექნიკუმის მტკივნეულ საკითხებზე. ასევე დაბალ დონეზე ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის პარტიულ ორგანიზაციაში, აგრეთვე კრიხის და წკადისის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებების მიმდინარეობის საკითხი და სათანადო ღონისძიებანი განახორციელა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამბროლაურის რაიონული პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს მშრომელთა ფართო მასებს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდება პარტიის XX ყრილობას.

შ. კახიძე,
საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეისო თემაზე

# პერიფერიულ საწარმოებს მეტი დახმარება და კონტროლი

ათარმეული წერილი მოსდის რედაქციას რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან ადგილობრივ საწარმოთა კოლექტივების მუშაობის შესახებ. წერილებისა და კორესპონდენციების ავტორები სიხარულს გამოთქვამენ ამ საწარმოების ყოველი მიღწევის გამო. ეს გასაგებიც არის, რადგან ადგილობრივი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მომხმარებელი უმთავრესად ადგილობრივი მოსახლეობაა.

ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს კრამიტის ქარხნის პროდუქციამ (დირექტორი ხ. ჭილვარია) თავის მაღალი ხარისხით მთელ დასავლეთ საქართველოში გაითქვა სახელი. საუკეთესო ხარისხის ქვევრებს აკეთებენ ონის კერამიკულ საწარმოში და ამ პროდუქციას ხალისით იძენენ მევენახე კოლმეურნეები, კარგად მუშაობს გეგეჭკორის რაიონის გრეხილი ავეჯის საწარმო.

მაგრამ ამასთან მშრომელთა წერილებში სჭარბობს ცნობები იმის შესახებ, რომ მთელი რიგი პერიფერიული საწარმოები გაუმართავად, ცუდად მუშაობენ, სისტემატურად უშვებენ დაუდევრად ნაკეთებ, უხარისხო პროდუქციას. მშრომელთა ამ საყვედურების საფუძვლიანობა და სისწორე დასტურდება სამრეწველო საქონლის ხარისხის ინსპექციის რესპუბლიკური სამმართველოდან მიღებული დოკუმენტებითაც. ხარისხის ინსპექცია იძულებული იყო უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში სარეწაო კოოპერაციის მთელი რიგი საარტელო საწარმოებისათვის აეკრძალა პროდუქციის სავაჭრო ქსელში გასასაღებლად გამოტანა. მაგალითად, ბათუმის არტელს „ტყემრეწვს" აეკრძალა წიგნის კარადების გასასაღებლად გამოტანა, იქვე არტელ „ქალთა შრომას" აეკრძალა სატრიკოტაჟო ნაწარმის გადაცემა სავაჭრო ქსელისათვის, არტელ „ენერგიას" — ალუმინის სამზარეულო ქვაბების გასაღება, თბილისის არტელს „სარეწაო კომბინატს" — ალუმინის ჩაიდნების გამოტანა, ქუთაისის არტელს „სარეწაო ნაწარმს" პლასტიკატური სუფრების გამოშვება, ბათუმის საქალაქო სამრეწველო კომბინატს სამშენებლო ლურსმნისა და ა. შ.

არის შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის ადგილობრივი საწარმო იწყებს რომელიმე სახის პროდუქციის გამოშვებას, თუმცა საამისო ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარი არ გააჩნია. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ბათუმში აქვს ხე-ტყის მასალის საწყობი, ხოლო ამ საწყობთან ავეჯის საწარმო, რომელიც ამზადებს სასადილო მაგიდებს და ა. შ. ამ საწარმოს კი არა აქვს მერქნის საშრობი დანადგარი, ურომლისოდაც საავეჯო მერქანს ვერ მივიღებთ, მაშასადამე, კარგი ხარისხის ავეჯს ვერ გავაკეთებთ. ვინაიდან საწარმოს გარკვეული საწარმოო გეგმა ეძლევა, გეგმის შესრულებაც სავალდებულოა, ხოლო საჭირო რაოდენობით მერქნის ბუნებრივად შრობა ნელა ხდება, ამიტომ ხშირად საწარმოს მუშაკები ავეჯს ნედლი მერქნისაგან აკეთებენ. შემდგომში ეს ავეჯი დეფორმაციას განიცდის და სრულიად უვარგისი ხდება.

წიგნის კარადებზე, საწერ მაგიდებზე მოთხოვნილება დიდია. ეს გარემოება მიიღო ალბათ მხედველობაში ზუგდიდის რაიკოოპკავშირმა, როდესაც ადგილობრივ მოაწყო ავეჯის საწარმო, მაგრამ იგი უშვებს... ყოვლად უგვანოდ და დაუდევრად ნაკეთებ კარადებს, რომელთა გამოტანა სავაჭრო ქსელში ხარისხის ინსპექციამ კატეგორიულად აკრძალა.

ხელმძღვანელმა რესპუბლიკურმა სამეურნეო ორგანიზაციებმა მეტი ცოცხალი ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ პერიფერიულ საწარმოებს. საჭიროა ამ საწარმოებს შევუქმნათ ყველა პირობა გამართული მუშაობისათვის, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ამასთან აუცილებელია ამ საწარმოებისადმი სისტემატური კონტროლი, რაც დღემდე არ იგრძნობა.

## შემოქმედებითი თანამეგობრობა



საქართველოს თეატრების სცენაზე ძმური რესპუბლიკების დრამატურგიას საპატიო ადგილი უკავია. ამ მხრივ აღსანიშნავია გამოჩენილი სომეხი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის კომედია „პეპოს" დადგმა რუსთაველის სახელობის თეატრში 1951 წლის 28 დეკემბერს.

წელს, 16 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპოს" ქართულ სცენაზე (თბილისში) პირველი დადგმის 80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ამ დღეს გამოითქვა სურვილი, რომ სომხური დრამის თეატრის მსახიობი ბ. ნერსესიანი, რომელიც კარგად ფლობს ქართულ ენას, გამოვიდეს პეპოს როლში რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლში.

13 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ბაბკენ ნერსესიანის შემოქმედებითი შეხვედრა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივთან. ამ დღეს წარმოდგენილ „პეპოში" ბ. ნერსესიანი პეპოს როლს ასრულებდა ქართულ ენაზე.

როგორც პოეტი ი. გრიშაშვილი მოგვითხრობს, წარსულში ქართველი მსახიობები ვასო აბაშიძე, ანდრო ადამიძე და ნიკო გოცირიძე არაერთხელ გამოსულან სომხურ ენაზე ეპიზოდურ როლებში. 1888 წლის 22 დეკემბერს სიღნაღში გამართულ გ. სუნდუკიანცის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეზე „პეპოს" პირველი და მესამე მოქმედება სომხურად წარმოუდგენიათ, ხოლო მეორე მოქმედება ქართულად.

„პეპო" თბილისში პირველად 1875 წლის 27 ნოემბერს წარმოადგინეს. ამ წარმოდგენაში პეპოს როლის შემსრულებლად მოუწვევიათ გამოჩენილი სომეხი მსახიობი გ. ჩიმიშკიანი, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენა. ახლა, 80 წლის შემდეგ, ზუსტად იმავე თვეში სომეხმა მსახიობმა ბ. ნერსესიანმა ქართულ ენაზე შეასრულა პეპოს როლი რუსთაველის სახელობის თეატრში.

საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს ნიჭიერ მსახიობს ბ. ნერსესიანს. თავისი სასცენო მოღვაწეობა მან დაიწყო სკოლის დრამატულ წრეში. 16 წლის სცენისმოყვარე ბ. ნერსესიანი 1933 წელს გამოდის მასობრივ სცენებში თბილისის სომხური დრამის თეატრის სპექტაკლებში. 1934 წლიდან იგი თბილისის მოზარდ მაყურებელთა სომხურ თეატრშია. ნიჭიერმა და მეუაითმა ახალგაზრდა მსახიობმა შექმნა შესანიშნავი სცენიური სახეები — მამაცი ნაზარი, არსენა მარაბდელი, ჩაპაევი, პავკა კორჩაგინი, კაკო ყაჩაღი, ფერდინანდი, ოსმან-აღა, ზამბახოვი „ხათაბალაში", ჰამბო „გიქორში", მიქაელ ნალბანდიანი „ემმანუელში" და სხვ.

1944 წელს ბ. ნერსესიანი გადაყვანილ იქნა თბილისის სომხური დრამის თეატრში, სადაც სრულად გაიფურჩქნა მისი სცენიური ტალანტი. ამ თეატრში მან წარმატებით განასახიერა რთული სახეები — ბალაბეკი სპექტაკლებში „წყაროსთან" და „საცდელი მინდორი", შუქრი „ჩაძირულ ქვებში", პეპო „პეპოში", სრბენინი „მასკარადში", მაჰმედ კაჯარი „ვაგიფში", ონისე „ხევისბერ გოჩაში", ფრანცი „ყაჩაღებში" და მრავალი სხვა.

ბ. ნერსესიანი ხშირად გამოდის კონცერტებზე როგორც მხატვრული წამკითხველი სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

ბ. ნერსესიანი დრამატურგიაშიც მუშაობს. მსახიობ ა. ქაჯვორიანთან ერთად მან დაწერა პიესა „ალასი". მას აქვს აგრეთვე რამდენიმე თარგმნილი პიესა, როგორც ქართული ისე რუსული დრამატურგიიდან.

ბ. ნერსესიანის სახით ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას თვალსაჩინო შემოქმედი ძალა ჰყავს. მიმდინარე წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლში ბ. ნერსესიანმა მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. მისი პეპო მშრომელი ხალხის ტიპიური წარმომადგენელია. როლის სწორი, ღრმა სოციალური გააზრებით მსახიობმა შექმნა სიცოცხლით აღსავსე თბილისელი მოქალაქის საოცრად კოლორიტული, მომხიბლავი სახე.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ბ. ნერსესიანს მიესალმნენ — რუსთაველის სახელობის თეატრის სახელით რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, სომხური დრამის თეატრის სახელით ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ბეგიჯანი.

სომეხი მსახიობის ბ. ნერსესიანის გამოსვლა ქართულ სპექტაკლში სასიხარულო და საინტერესო მოვლენაა ჩვენი დედაქალაქის თეატრალურ ცხოვრებაში, რაც ძმური საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის მკაფიო დადასტურებაა.

გ. ძნელაძე.

• • •

სურათზე: სპექტაკლ „პეპოს" მონაწილეები. (მარცხნიდან) ვ. კინწურაშვილი (ცაკული), ბ. ნერსესიანი (პეპო), ნ. ჩხეიძე (გიქო).

## ახალი წიგნი

ალ. ჩავლეიშვილი — „ლიტერატურის თეორიის საკითხები". ბათუმის სახელმწიფო გამომცემლობა, 1955 წ. ტირაჟი 3.000, გვ. 240.

წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები: ესთეტიკური იდეა, ცნება, სახე და ტიპი, ტიპიურისა და არატიპიურის ურთიერთობისათვის ლიტერატურულ ტიპში, დეტალი რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში, გმირული სახის ტიპიურობის საკითხები, ეპიგრაფი მხატვრულ ლიტერატურაში, მხატვრული ნარკვევის თეორიისათვის, ლიტერატურის თეორიის სწავლების ზოგიერთი საკითხი, ვაჟა-ფშაველას ეპიურ ნაწარმოებთა ზოგიერთი პერსონაჟის შესახებ.

წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 8 მან.

## ბეჯითი შრომის შედეგების დათვალიერება

### ტყიბული

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა, ასახავს რაიონში საკოლმეურნეო წარმოების მძლავრ განვითარებას, კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას. აქ წარმოდგენილი ექსპონატები მკაფიოდ მეტყველებენ იმაზე, თუ რა წარმატებით ხორციელდება სოფლის ცხოვრებაში პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

გამოფენაზე განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია სიმინდის ექსპონატებს. წელს რაიონში სიმინდის კარგი მოსავალი მიიღეს ბუეთის, საწირის, ახალსოფლის, სოჩხეთის და სხვა კოლმეურნეობებმა. საწირის კოლმეურნეობის სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატმა ი. რობაქიძემ ჰექტარ ფართობზე 35 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

კარგი წარმატებებია მიღწეული ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად განხორციელების და მექანიზაციის დანერგვის შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავალი მიიღო ძმუისის კოლმეურნეობის რგოლმა, რომელსაც ოლია ხარატიშვილი ხელმძღვანელობს. აქ თვითეულ ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მიღებულია 3.355 კილოგრამი მწვანე ფოთოლი.

რაიონში ფართოდ ვითარდება სოფლის მეურნეობის ისეთი წამყვანი და რენტაბელური დარგები, როგორიც არის მეცხოველეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. მებოსტნეობის მძლავრი განვითარება განსაკუთრებით შესამჩნევია ისეთ მთაგორიან კოლმეურნეობებში, როგორიც მუხურის კოლმეურნეობაა. დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს ამ სოფლის კოლმეურნეობების მიერ წარმოდგენილი კარტოფილისა და კომბოსტოს ექსპონატები.

გამოფენა პირველ დღეებშივე ათასობით მნახველმა დაათვალიერა. (საკ. კორ.).

### ბოლნისი

დაბა ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ბოლნისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ 12 კოლმეურნეობა, თამარისისა და ბოლნისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და სამტრესტის ბოლნისის ღვინის ქარხანა. მოწონება დაიმსახურა სოფელ სარაჩილოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტენდმა.

კოლმეურნეობამ წელს საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მიიღო. მოწინავე მერგოლურმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ალახვერდიევამ მოსავლელად მიჩენილ ყოველ ჰექტარზე 115 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ხოლო 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 140 ცენტნერი ხახვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა.

დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტენდზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა დიაგრამა, რომელიც მნახველებს აცნობდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრ აღმავლობას. თუ 1954 წელს აქ თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1.133 ლიტრი რძე მიიღეს, 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის წველადობა 300 ლიტრით გაზარდეს.

წელს თავდადებულად იშრომეს ქოჩულოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ 450 ჰექტარი ხორბალი ეთესათ, საშუალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერი ხორბალი მიიღეს.

წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში წელს თამბაქოს მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერს გადააჭარბა, მიღებულია ჰექტარზე 28 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა.

გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა რაიონის მშრომელებს დაეხმარება მოწინავე გამოცდილების უფრო ფართოდ დანერგვაში. (საკ. კორ.).

## სტუდენტთა საერთაშორისო დღე

დღეს, 17 ნოემბერს, მთელი მსოფლიოს სტუდენტები სიხარულითა და რწმენით ხვდებიან თავიანთ ზეიმს — სტუდენტთა საერთაშორისო დღეს. ამ დღეს ყველა ქვეყნის მილიონობით ახალგაზრდა, რომელიც ისწრაფვის დაეუფლოს მეცნიერებისა და ხელოვნების, მსოფლიო კულტურის მწვერვალებს, რათა შექმნას კიდევ უფრო ლამაზი, უფრო ნათელი ცხოვრება, გამოდის მჭიდროდ დარაზმული მშვიდობის, მეგობრობის, ხალხთა შორის ურთიერთნდობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

მეგობრული შეხვედრები, სპორტული შეჯიბრებები, ახალგაზრდული ფესტივალები — აი ის ღონისძიებები, რომლებიც ერთმანეთთან აახლოებს მსოფლიოს ახალგაზრდობას და რომლებშიც სულ უფრო მრავალი ქვეყნის სტუდენტობა იღებს მონაწილეობას.

მათ კარგად ახსოვთ უკანასკნელი, V ფესტივალი, რომელიც ამ ზაფხულზე გაიმართა ვარშავაში. 114 ქვეყნის 30 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი მოვიდა ოკეანეების და ზღვების გადაღმიდან ახალგაზრდა თაობის ამ ტრადიციულ ზეიმზე, კულტურისა და სპორტის დათვალიერებაზე.

ამ იმედიან ზაფხულს, ჟენევაში ოთხი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თათბირთან ერთად, მსოფლიოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ამ შეხვედრამ დაამტკიცა, რომ მიუხედავად რელიგიური, რასობრივი და ენობრივი განსხვავებისა, ახალგაზრდობას შეუძლია ერთად მოქმედება და რომ ეს ერთიანობა აუცილებელია იმისათვის, რომ მოიპოვონ და დაიცვან მშვიდობიანი ცხოვრების უფლება, შრომის უფლება, განათლების, სიხარულისა და სიყვარულის უფლება.

სწავლის უფლება, სიჭაბუკის წმიდა უფლებაა და ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია ამ უფლების გამოყენება. საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეს წილად ხვდა დიდი ბედნიერება იცხოვროს იმ ქვეყანაში, სადაც სწავლის უფლება თვითეულის კუთვნილებას წარმოადგენს, მისთვის გახსნილია სკოლები და სასწავლებლები, ინსტიტუტები და უნივერსიტეტები. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გამუდმებით ზრუნავენ ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირში მხოლოდ ომის შემდეგ ასოცდარვა ახალი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა, ახლა ჩვენში ცხრაასზე მეტი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც მილიონნახევარზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი ეუფლება ყველაზე მოწინავე მეცნიერებას, ემზადება დიდი, შემოქმედებითი შრომისათვის მშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ.

სახელმწიფო, სადაც ძალაუფლება ხალხის ხელშია, უდიდეს თანხებს ხარჯავს განათლების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის განვითარებისათვის. მოზარდი თაობისათვის ზრუნვა, ზრუნვა მისი ნიჭის ყოველმხრივი განვითარებისათვის ამ ქვეყანაში ურღვევ კანონს წარმოადგენს.

საბჭოთა სტუდენტობა, ისევე როგორც ყველა სახალხოდემოკრატიული ქვეყნის სტუდენტობა, დღეს გამოხატავს თავის მხურვალე სოლიდარობას კაპიტალისტური ქვეყნების ჭაბუკებისა და ქალიშვილებისადმი, რომლებიც იძულებული არიან მედგარი ბრძოლა აწარმოონ განათლების დემოკრატიზაციისათვის, ისეთი პირობების შექმნისათვის, რაც მშრომელთა ბავშვებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შესაძლებლობას მისცემდა.

გაჭირვება, შიმშილი, ქანცგამომლევი მუშაობა სწავლის ქირისათვის საჭირო ფულის საშოვნელად — ასეთია სტუდენტი ახალგაზრდობის ხვედრი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლებისათვის გამოყოფილია ბიუჯეტის მხოლოდ ერთი პროცენტი. ესპანეთში სტუდენტთა 94 პროცენტს არ ეძლევა სტიპენდია. ავსტრიელ სტუდენტთა შორის მშრომელთა შვილები ოთხ პროცენტამდეა, ირანის ოცმილიონიან მოსახლეობას მხოლოდ ოთხი უმაღლესი სასწავლებელი აქვს.

„ინდონეზიის 15 მილიონ ჭაბუკსა და ქალიშვილსაც სურს სწავლა, — სწერდა ამას წინათ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" ინდონეზიელი სტუდენტი ს. ჰერუ, — მაგრამ ჩვენში სკოლები იმდენად მცირეა, ხოლო სწავლის ქირა იმდენად დიდი, რომ ახალგაზრდობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეუძლია სწავლა".

კაპიტალისტური ქვეყნების მოსწავლე ახალგაზრდობა სტუდენტთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს თავისი საარსებო უფლებებისათვის ბრძოლის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

ავსტრიელი სტუდენტები იბრძვიან სწავლის ქირის შემცირებისათვის. ინგლისელი სტუდენტები გამოდიან პროტესტით ბრიტანეთის გვიანაში პოლიციური თვითნებობის წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიის მოსწავლე ახალგაზრდობა სულ უფრო ფართოდ ებმება თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში. მსოფლიოს სტუდენტთა ეს ბრძოლა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენის მქონე სტუდენტი ახალგაზრდების გაერთიანების ბაზას. მშვიდობა თანაბრად სჭირდებათ პარიზისა და პრაღის, კემბრიჯისა და პეკინის, მოსკოვისა და რომის სტუდენტებს, მუსლიმანებსა და ქრისტიანებს, თეთრკანიანებსა და შავკანიანებს. მიზნის ერთიანობა აახლოებს მსოფლიოს მილიონობით მოსწავლე ახალგაზრდობას. ოთხმოცზე მეტი ქვეყნის ათ მილიონამდე სტუდენტი შედის დღეს სტუდენტთა საერთაშორისო კავშირში, ეს ჩვენი მომავლის უდიდესი ძალაა. ეს ის ძალაა, რომელიც კიდევ უფრო წინ წასწევს მეცნიერებას, აამაღლებს კულტურას, მოგვცემს შედევრებს ხელოვნებასა და ლიტერატურაში, დღეს თუ ხვალ სათავეში ჩაუდგება კაცობრიობის ნათელი მომავლის მშენებლობას და ღირსეულად შეცვლის ამ საქმისათვის ბრძოლის ვეტერანებს. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვარშავის V მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებმა კარგად იცოდნენ ეს, როცა ცეცხლოვან ლოზუნგად წამოაყენეს მოწოდება ყველა ქვეყნის ახალგაზრდობისადმი.

„მეგობრებო, ძმებო და დებო, მთელი დედამიწის ნორჩო ძალებო!...

კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბრძოლა, რომელიც არასდროს არ იყო ასე აუცილებელი. ვიმოქმედოთ ერთად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მისაღწევად, განიარაღებისათვის, თერმოგულური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვისათვის.

გავერთიანდეთ ჩვენი სიჭაბუკის დასაცავად, ჩვენი იმედების, პროგრესის, კაცობრიობის ნათელი მომავლის დასაცავად!".

ა. კუსრაშვილი.

## საბჭოთა ჟურნალისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 15 ნოემბერი. (ტასი). გუშინ პრესის ეროვნულ კლუბში გაიმართა საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფის პრეს-კონფერენცია, რომლებიც ამთავრებენ მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. კლუბში შეიკრიბნენ ამერიკის უდიდესი გაზეთების ოთხასამდე რედაქტორი და კორესპონდენტი, ბევრი უცხოელი ჟურნალისტი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

გუშინვე საბჭოთა ჟურნალისტები ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში გაემგზავრნენ.

სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკიდან

# განვამტკიცოთ მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა

იმ ახალი ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტა, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებრიობისა და კერძოდ სკოლების წინაშე დააყენეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას და მის დანერგვას სასკოლო ცხოვრებაში. რაც მთავარია, ამ ამოცანების განხორციელება მოითხოვს მთელი სასკოლო კოლექტივის მაღალ ორგანიზებულობასა და მტკიცე დისციპლინას.

მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის აღზრდა გულისხმობს მათში წესიერი ქცევისა და ნორმების თანდათან დანერგვას, გაფურჩქვნასა და მთელ რიგ ფსიქიკურ თვისებათა და უნართა განვითარებას, რაც საფუძვლად დაედება და განსაზღვრავს მოსწავლის ყოფაქცევას.

როგორც დიდი საბჭოთა პედაგოგი ა. მაკარენკო გვასწავლიდა, დისციპლინა აღზრდის შედეგია და ამავე დროს მისი საშუალებაც. მოსწავლეთა დისციპლინა მაღალი აკადემიური წარმატების აუცილებელი პირობაა.

ნამდვილი საბჭოთა სასკოლო დისციპლინა იქმნება და ყალიბდება სწავლების პროცესში, ძირითადად გაკვეთილებზე. რაც უფრო მაღალია გაკვეთილის იდეური და მეცნიერულ-პედაგოგიური დონე, რაც უფრო გამართულია იგი და შინაარსიანი, მით უფრო საფუძვლიან ცოდნას იძენს მოსწავლე, შეგნებული და დისციპლინიანი ხდება იგი.

თუ მასწავლებელი ყოველმხრივ გამართულ გაკვეთილს ატარებს, მომზადებულად და მისაწვდომად გადასცემს მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლებს, უკლებლივ აბამს მათ მუშაობაში, დისციპლინის დარღვევის შემთხვევაც არ იქნება; მაგრამ თუ ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევას თვით მასწავლებლის მიერ, მაშინ ძნელია ლაპარაკი საერთოდ დისციპლინის დაცვასა და განმტკიცებაზე.

ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი სკოლებში შეგნებული დისციპლინის დანერგვის საქმეს. ამ ღონისძიების განხორციელებამ განსაკუთრებით დიდი ეფექტი მოგვცა მიმდინარე სასწავლო წელს. ჩვენს სკოლაში მოსწავლე ვაჟებსა და გოგონებს შორის განმტკიცდა ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა, გაიზარდა ამხანაგური დახმარებისადმი მისწრაფება. მოსწავლეები გაკვეთილებზე უკეთ მომზადებული მოდიან. იშვიათია გაკვეთილებიდან გაპარვის შემთხვევები, უშვერი სიტყვების ხმარება და სხვ. მოსწავლეები უფრთხილდებიან სასკოლო ინვენტარს.

პედაგოგიური კოლექტივისა და კლასების ხელმძღვანელთა სათანადო მუშაობის შედეგად თითქმის სრულიად აღმოიფხვრა ჩვენი სკოლის მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევები სკოლასა და საზოგადოებრივ ადგილებში.

თუ 1953-54 სასწავლო წელს მილიციის ორგანოებიდან მიღებული გვქონდა 72 მიმართვა მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარღვევაზე, 1954-55 წელს ეს ციფრი შემცირდა 17-მდე, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან დღემდე არც ერთი ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

ჩვენი სკოლის დირექცია მილიციის ორგანოდან მიმართვის მიღებისთანავე წესრიგის დამრღვევი მოსწავლის საკითხს განიხილავდა კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციებში ან მოსწავლეთა კომიტეტში; ვიწვევდით მშობლებს, მივდიოდით ოჯახებში. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მომხდარ ფაქტებს არ გამოვხმაურებოდით.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სისტემატურად ეწევა მუშაობას მოსწავლეთა ქცევის წესების ცხოვრებაში დანერგვისათვის იმგვარად, როცა თვითეული მოსწავლე თავს ვალდებულად გრძნობს შეგნებულად და უსიტყვოდ შეასრულოს ეს წესები როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ.

სკოლაში შემოღებული გვაქვს „საპატიო დაფა", სადაც ვათავსებთ ისეთ მოსწავლეთა გვარებს და სურათებს, რომლებიც გამოირჩევიან წარჩინებული სწავლით და სანიმუშო ყოფაქცევით. წიგნებით ვაჯილდოებთ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც ახასიათებთ კარგი დისციპლინა, სწავლაში მაღალი წარმატება, მოწინავენი არიან საზოგადოებრივ საქმიანობაში, აგრეთვე ვუცხადებთ მადლობას ბრძანებით ამა თუ იმ საზოგადოებრივ საქმიანობაში თავის გამოჩენისათვის. მაგრამ ამასთან მივმართავთ დასჯის ღონისძიებებსაც. მარტო გასულ სასწავლო წელს პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად გახდა 8 მოსწავლის საკითხი, რომლებსაც ჩამოაკლდათ ნიშნები ყოფაქცევაში. ასეთები იყვნენ: მოდებაძე, ფარულავა, ხვინგია, აბდალოვი, გაბიევი, კახიანი მე-11 კლასიდან, ლომია, ლეჟავა მე-9 კლასიდან. საყვედური გამოეცხადა და გაფრთხილებულ იქნა 5 მოსწავლე.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მკვეთრად ამაღლდა დისციპლინა. გამოსწორდნენ დასჯილი მოსწავლეები, ხოლო დანარჩენების მხრივ არ ყოფილა მსგავსი ქცევის გამეორების შემთხვევები. წელს კი არც ერთი შემთხვევა არა გვქონია ყოფაქცევაში ნიშნის დაკლებისა და საყვედურის გამოცხადებისა. არც ერთი მოსწავლის საკითხი არ გამხდარა პედაგოგიური საბჭოს, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მსჯელობის საგნად.

კლასის ხელმძღვანელებს შედგენილი აქვთ თავიანთი მუშაობის ნახევარწლიური გეგმა, რომლის მიხედვითაც ეწევიან მუშაობას, მართავენ საუბრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, ინდივიდუალურად შესწავლილი ჰყავთ თვითეული მოსწავლე და მათი ოჯახი, სწრაფად ეხმაურებიან დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, სისტემატური კავშირი აქვთ მშობლებთან, აწყობენ მათთან კრებებს.

თვითეულ ხელმძღვანელს აქვს სპეციალური საერთო რვეული, სადაც აღინიშნება ყოველდღიური საქმიანობა მშობლებთან და მოსწავლეებთან.

ასეთი მუშაობის შედეგად თუ გასული სასწავლო წლის I მეოთხედში მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების რაოდენობა 1.568 იყო, მიმდინარე სასწავლო წლის ამავე მეოთხედში გაცდენილია მხოლოდ 831 საათი.

მშობელთა კომიტეტის აქტიური მუშაობით, კლასის ხელმძღვანელთა მიერ მშობლებში სისტემატური პედაგოგიური პროპაგანდით, სკოლაში მშობელთათვის მოწყობილი ლექციებით და სხვა ღონისძიებათა განხორციელებით მშობლებში შეგვაქვს იმის შეგნება, რომ ისინი უფრო დაუფიქრდნენ თავიანთი შვილების აღზრდის საქმეს, იყვნენ ფრთხილნი წახალისებისა და ზემოქმედების სხვა ღონისძიებათა გამოყენების დროს.

ამის შედეგად შევძელით განვვეხორციელებინა სკოლისა და ოჯახის ერთიანი ზეგავლენა მოსწავლეებზე და მტკიცე საფუძველი შევუქმნა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის სკოლაში. თუმცა ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არიან ისეთი მშობლები, რომლებიც თავიანთი შვილების აღზრდისათვის არ ზრუნავენ, ზედის ანაბარა ჰყავთ მიტოვებული ბავშვები, ან სრულებით არა აქვთ ავტორიტეტი მათს თვალში. ამიტომ მათი შვილებიც თავის ნებაზე დაიარებიან და ხშირად გაკვეთილებს აცდენენ, არ სწავლობენ. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს VIII კლასის მოსწავლეს ჯ. გიუნაშვილს 107 საათი ჰქონდა გაცდენილი და 18-ჯერ გაიპარა გაკვეთილებიდან. მისი მამა სკოლაში მოსული არავის უნახავს; დედა ხშირად არის სკოლაში, მაგრამ შვილზე ვერავითარ დადებით გავლენას ვერ ახდენს. IX კლასის მოსწავლე გ. თოფურიძე ძალიან წყნარი, ზრდილობიანი მოსწავლეა, მაგრამ დედას მიტოვებული ჰყავდა (მამით ობოლია) და სასწავლო წლის მანძილზე 137 საათის გაცდენა ჰქონდა. VI კლასის მოსწავლე სალდაძე ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ მშობლები მას ყურს არ უგდებდნენ და იგი იმავე კლასში დარჩა.

ასეთი მაგალითები კიდევ მრავალი შეიძლება მოვიყვანოთ. ამ მოვლენებს ადგილი არ ექნებოდა, ყველა მშობელი ერთნაირად რომ იყოს დაინტერესებული შვილების აღზრდით და გვერდში ამოუდგეს სკოლას შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და მაღალი წარმატების მიღწევისათვის ბრძოლაში.

სკოლაში სისტემატურად წარმოებს მშობელთა მორიგეობა. ყველა სართულში, ეზოში და ქუჩის პირას მორიგეობენ მასწავლებლები. მოწესრიგებულია მოსწავლეთა მორიგეობა დერეფნებში, ეზოში, ცალკეულ კლასებში. როგორც მეცადინეობის დროს, ისე დასვენების პერიოდში წესრიგი და სიწყნარეა.

შეგნებული დისციპლინის მტკიცედ დანერგვისათვის მონდომებით მუშაობენ კომკავშირული და პიონერთა ორგანიზაციები. მათ შეძლეს ფართოდ გაეშალათ მოსწავლეთა შორის საწრეო, მასობრივი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. ისინი ხშირად მართავენ შინაარსიან დილა-საღამოებს, შეხვედრებს წარმოების ნოვატორებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან.

გეგმის მიხედვით ეწყობა მოსწავლეთა კოლექტიური სვლა კინოებსა და თეატრებში. ადგილი რომ არ ჰქონდეს დისციპლინის დარღვევას და როგორც კინოში, ისე თეატრში სრული წესრიგი იყოს, გამოიყოფა ხოლმე მთავარი ხელმძღვანელი დირექციის შემადგენლობიდან, ორი პასუხისმგებელი მორიგე-მასწავლებელი, ხოლო ცალკეულ კლასებს მიჰყვებიან თავიანთი ხელმძღვანელები.

სკოლას განრიგის მიხედვით მუდამ ჰყავს გამოყოფილი მორიგე. მორიგეობა წარმოებს საზოგადოებრივ ადგილებში (სანაპირო ქუჩა, კინოთეატრი „კოლხიდა", მ. გორკის სახელობის კლუბი) საღამოს საათებში და დასვენების დღეებში. ასეთ და კიდევ სხვა ღონისძიებათა შედეგად სკოლაში იგრძნობა სრული წესრიგი.

ამასთან გვაქვს ნაკლოვანებებიც. პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების მიზნით შევიძინეთ ხელსაწყო-იარაღები. საშეფო ორგანიზაციებმა მოგვცეს მანქანები, ჩარხები, მოტორები და სხვ. მაგრამ ფართობის სივიწროვის გამო სახელოსნოში ერთდროულად არ ეტევა მთელი კლასი, რაც ზოგჯერ ქმნის ხმაურს და უდისციპლინობას.

დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დირექციის მოქნილ, ოპერატიულ და ყოველდღიურ მუშაობას. ჩვენს სკოლაში გაკვეთილის დაწყებამდე, დასვენების დროს და გაკვეთილის დამთავრების პერიოდში მორიგე სასწავლო ნაწილის გამგე იმყოფება მხოლოდ სამასწავლებლოში და აწესრიგებს გაკვეთილების დაწყებასა და მსვლელობას. დირექტორი და მეორე სასწავლო ნაწილის გამგე იმყოფებიან დერეფნებში, ეზოში, საკლასო ოთახებში, თვალყურს ადევნებენ წესრიგს, მორიგეობის მსვლელობას. როცა სწავლის დაწყების ზარი დაირეკება და ყველა მოსწავლე და მასწავლებელი კლასებში შევლენ, მაშინ შევდივართ სამუშაო ოთახებში და ვიწყებთ სხვა საქმეების შესრულებას. მუშაობის ასეთი მეთოდი ძალიან გვეხმარება დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ თუ სკოლის ყველა მუშაკი, მშობელთა კომიტეტი, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, მოსწავლეთა კომიტეტი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ერთობლივად იმოქმედებენ და წარმართავენ მუშაობას, სკოლაში სამაგალითო დისციპლინა დამყარდება.

ვ. ბიწაძე,

თბილისის 31-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

# ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

## აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხის განხილვა

ჟენევა, 15 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების გუშინდელი სხდომა მიეძღვნა თათბირის დღის წესრიგის მესამე პუნქტის — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხის განხილვას.

ამ საკითხის განხილვა მინისტრებმა დაიწყეს 31 ოქტომბერს მეოთხე სხდომაზე, რომელზეც მათ ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხზე. ამ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ თავისი წინადადება შეიტანა კონტაქტების განვითარების საკითხზე. დასავლეთის სამი სახელმწიფოს დელეგაციებმაც გადასცეს თათბირის განსახილველად თავიანთი ერთობლივი წინადადებანი. მინისტრებმა აგრეთვე მაშინ დაავალეს ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შემდგარ ექსპერტების კომიტეტს განეხილოს შეტანილი წინადადებანი და მოემზადოს მოხსენება დღის წესრიგის მესამე პუნქტის შესახებ.

გუშინდელ სხდომაზე პირველმა ილაპარაკა **ჰ. მაკმილანმა.** მან დაახასიათა ექსპერტების კომიტეტის მუშაობის შედეგი, როგორც „უარყოფითი“, რადგან, განაცხადა მაკმილანმა, კომიტეტში დისკუსიის დროს გამოვლინდა „რადიკალური განსხვავება“ საბჭოთა და დასავლეთის წარმომადგენელთა თვალსაზრისებს შორის.

ამის მიზეზი, მაკმილანის აზრით, არის პოზიცია საბჭოთა კავშირისა, რომელიც როგორც ინგლისის წარმომადგენელი ამტკიცებდა, თითქოს კონტაქტების განვითარების გზაზე დაბრკოლებათა აღმოფხვრის საკითხს იმით ამოწურავს, რომ მოისპოს კონტროლი სტრატეგიული მასალებით ვაჭრობისადმი.

შემდეგ გამოვიდა **ვ. მ. მოლოტოვი.**

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი დღის წესრიგის მესამე პუნქტის შესახებ ჩამოყალიბებულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივების შესაბამისად.

ამ დირექტივების მიხედვით, თქვა მოლოტოვმა, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ უწინარეს ყოვლისა იმ ბარიერების თანდათანობით მოსპობას, რომლებიც ხელს უშლიან ხალხთა შორის თავისუფალ ურთიერთობას და მშვიდობიან ვაჭრობას.

სამი მინისტრის პროექტში კი ეს საკითხი უკანასკნელ ადგილზეა გადატანილი. ეს გაკეთებულია „სტრატეგიულ ვაჭრობაზე“ მსჯელობის საბაბით, ვაჭრობაზე, რომელზეც სიტყვაც არ არის ნათქვამი მთავრობათა მეთაურების დირექტივებში.

მოლოტოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის პროექტში გათვალისწინებულია მთავრობათა მეთაურების დირექტივები ისეთი თავისუფალი კონტაქტებისა და ურთიერთობის განხორციელების შესახებ, რომლებიც ურთიერთ სასარგებლოა დაინტერესებული ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

რაც შეეხება სამი მინისტრის სახელით წარმოდგენილ პროექტს, განაგრძო მოლოტოვმა, იგი არც დირექტივების ამ მითითებებს ასახავს. ამ პროექტში, მეორე მხრივ, არის მთელი რიგი წინადადებანი, რომლებიც წარმოადგენენ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის ცდებს. ამ პროექტში არა მარტო აისახა იმისადმი მისწრაფება, რომ მოხდეს ეს თუ ის ცვლილება ცალკეულ სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ წესებში. ამ პროექტში იმის პრეტენზიაც კი არის, რომ შეიცვალოს ცალკეულ სახელმწიფოთა ვალუტის კურსი. დაახასიათა რა ეს უსაფუძვლო პრეტენზიები როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა, მოლოტოვმა განაცხადა: ჩვენ არ ვმალავთ, რომ საბჭოთა კავშირში არ ყოფილა წინათ და არც მომავალში იქნება ისეთი „თავისუფლება იდეების გაცვლისა“, რომელიც წარმოადგენს ომის „თავისუფალ“ პროპაგანდას ან ატომური თავდასხმის კაცთმოძულე პროპაგანდას. ეს შეუთავსებელია მშვიდობის დაცვის ინტერესებთან. ჩვენ ვერც ისეთ „თავისუფლებას“ დავეთანხმებით, რომელიც გამოიწვევს საზოგადოების ყოველგვარ ნაძირალათა ძირგამომთხრელი საქმიანობის გაჩაღებას, რომელნიც გაძევებული არიან სოციალიზმისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, თუმცა, როგორც ცნობილია, ზოგჯერ ამაზე მრავალი მილიონი დოლარი იხარჯება. ეს შეუთავსებელია ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების ინტერესებთან, რომლებიც ძვირფასია საბჭოთა კავშირისა და ყველა ხალხისათვის, რომელნიც მტკიცე მშვიდობასა და პროგრესს ესწრაფვიან. დემოკრატიული პრინციპების ვერც ერთი მომხრე ვერ დაეთანხმება აგრეთვე იმას, რომ თითქოს რადიოსადგურები, რომლებიც იფარებენ ყალბ აბრებს, როგორიც არის „თავისუფალი ევროპის“ აბრა და სხვ., ნამდვილად ემსახურებიან ხალხთა თავისუფლების საქმეს. ყოველი პატიოსანი ადამიანი აღიარებს, რომ ამგვარი რადიოსადგური ემსახურება არა თავისუფლების საქმეს, არამედ შავბნელ რეაქციას, ხალხთა შორის მტრობის გაღვივებას, მშვიდობისათვის ძირის გამოთხრას და ახალი ომის მომზადებას. ბ-ნმა მაკმილანმა აქ დუმილით აუარა გვერდი ყოველივე ამას.

ჩვენ, განაცხადა მოლოტოვმა დასასრულ, შემოგვაქვს წინადადება მიღებულ იქნას საფუძვლად საბჭოთა დელეგაციის პროექტი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხზე. საბჭოთა დელეგაციას შესაძლოდ მიაჩნია აგრეთვე მივიღოთ საფუძვლად წინადადებათა ის პროექტი, რომელიც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ფორმა შეიტანა მთავრობათა მეთაურების თათბირზე 22 ივლისს. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია დამატებით შევიტანოთ ჩვენს შეთანხმებაში ამ საკითხზე მთელი რიგი პუნქტები სამი სახელმწიფოს პროექტიდან, რომელიც წარმოდგენილია ამ თათბირზე.

**ჯ. დალესმა** თავის სიტყვაში განაცხადა, რომ კონტაქტების განვითარების შესახებ თათბირზე შესრულებული მუშაობის შედეგები იმედის გამცრუებელია.

დალესმა აღიარა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთელი რიგი წინადადებანი ეხებიან ცალკეული ქვეყნების საშინაო საკითხებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავის შემდგომ გამოსვლაში ისევე როგორც მის წინ გამოსული მაკმილანი, მთავარ ყურადღებას აქცევდა სამი სახელმწიფოს დელეგაციების წინადადებათა სწორედ ამ ნაწილს, როგორც თითქოს ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც დამოკიდებულია კონტაქტების განვითარება.

დასასრულ დალესმა იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებას, რომელიც თათბირზე მოხდა, თუმცა მნიშვნელოვანი შეთანხმება არ მოჰყოლია, მაგრამ იგი ხელს შეუწყობს იმას, რომ მომავალში გამოინახოს იმის გზები, რომ მშვიდობა მტკიცე გახდეს.

**ა. პინემ** კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ექსპერტები შეთანხმდნენ კულტურული გაცვლის დარგში. მაგრამ, პინეს აზრით, ექსპერტთა მუშაობის შედეგები „იმედის გამცრუებელია“, რადგან, როგორც მან განაცხადა, საბჭოთა წარმომადგენელი არ დათანხმდა განხილული ყოფილიყო ისეთი საკითხები, როგორიც არის ცენზურა, კორესპონდენტთა უფრო ფართოდ დაშვება ინფორმაციის წყაროებთან, რადიოგადაცემათა შეფერხების აღმოფხვრა, სსრ კავშირში საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმართ შეზღუდვების მოსპობა და სხვ.

დასასრულ პინემ თათბირის განსახილველად შეიტანა პროექტი ოთხი სახელმწიფოს განცხადებისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხზე. ეს პროექტი შეიცავს სურვილს „შეიქმნას მშვიდობიანი ვაჭრობის განვითარებისათვის ხელისშემწყობი პირობები“, „თანდათანობით გაუქმდეს იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის დაბრკოლებანი“, „განხორციელდეს ცდები, რომ ბოლო მოეღოს იმ სიძნელეებს, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანთა თავისუფალ მიმოსვლას“.

მაგრამ პროექტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ აღმოიფხვრას დაბრკოლებანი და შეზღუდვები ვაჭრობის დარგში.

**ჰ. მაკმილანმა** განაცხადა, რომ იგი შეისწავლის წინადადებებს, რომლებიც შეიტანა საფრანგეთის დელეგაციამ.

შემდეგ სიტყვა აიღო **ვ. მ. მოლოტოვმა.** მან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ წინადადებები, რომლებიც შეიტანა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ე. ფორმა მთავრობათა მეთაურების თათბირზე, დიდად განსხვავდება დასავლეთის სამი ქვეყნის მთავრობათა წინადადებებისაგან, რომლებიც შემოტანილია საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე.

მოლოტოვმა განაცხადა, რომ იგი თავის აზრს პინეს წინადადებათა შესახებ შემდეგ სხდომაზე გამოთქვამს.

**ჯ. დალესმა** თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია კეთილმოსურნეობით შეისწავლის წინადადებებს, რომლებიც საფრანგეთის დელეგაციამ შემოიტანა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ, მისი აზრით, კონტაქტების განვითარების საკითხი თავისი ბუნებით დაკავშირებულია იმ საკითხებთან, რომლებიც სახელმწიფოთა საშინაო კომპეტენციაში შედის.

ჟენევა, 15 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების დილის სხდომა დაიწყო დღეს 10 საათსა და 30 წუთზე შუა ევროპის დროით (12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჰ. მაკმილანი. ამ სხდომაზე მინისტრებმა დაამთავრეს დღის წესრიგის მესამე პუნქტის — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხის განხილვა.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სოფიიდან სამშობლოში გამოემგზავრა

სოფია, 15 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სოფიიდან სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის წევრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ი. ბელიაევის მეთაურობით, რომელიც ბულგარეთში იყო სახალხო კრების მოწვევით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე მოვიდნენ სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. დამიანოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები და სხვა ოფიციალური პირები.

სახალხო კრების სახელით საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციას მიესალმა ფ. კოზოვსკი.

სიტყვა წარმოთქვა რა მიკროფონთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ნ. ი. ბელიაევმა თქვა:

— ნება მიბოძეთ ამ უკანასკნელ წუთებში თქვენი მშვენიერი სამშობლოდან გამგზავრების წინ, სადაც მიღებული საამური შთაბეჭდილება სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში, კიდევ ერთხელ გამოვთქვა გულითადი სიყვარული და დიდი მადლობა ფართო და ძმური სტუმართმოყვარეობისათვის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს თქვენი ღრმა და გულწრფელი გრძნობები შედეგია ისტორიულად შექმნილი ძმური კავშირისა, რომელიც განმტკიცებულია სისხლით ჩვენი ხალხების თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, აგრეთვე კომუნიზმის მშენებლობის საერთო დიადი მიზნით და ჩვენი საერთო მისწრაფებით ყველა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისადმი. ჩვენ თქვენთან ერთად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და დიდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად შევადგენთ მშვიდობისა და სოციალიზმის ერთიან მძლავრ და უძლეველ ბანაკს.

გეთხოვებით რა დღეს, ჩვენ ვამბობთ არა „მშვიდობით“, არამედ დოვიჟდანე, სკიპი დრუგარი! (ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო).

გაუმარჯოს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მარადიულ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

# ბულგარეთიდან დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

15 ნოემბერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის წევრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ი. ბელიაევის მეთაურობით.

დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. თ. გორკინი, ნ. მ. გურეევი, ი. ი. დუდინი, ი. ს. ხოხლოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. მ. გრუზდევი, ი. ნ. ზიმინი, ა. ტ. რუბიჩევი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ს. ტიხომიროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დელეგაციას აგრეთვე შეხვდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ქ. ტ. ლუკანოვი და საელჩოს თანამშრომლები.

(საკდესი).

# სსრ კავშირის XXXVI პირველობა მძლეოსნობაში



საბჭოთა კავშირის 1955 წლის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში დასასრულს უახლოვდება. გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

ათჭიდში ვ. კუზნეცოვმა (მოსკოვი) 7.645 ქულა შეაგროვა და სსრ კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა. ჩემპიონს — ვ. კუზნეცოვს 1.284 ქულით ჩამორჩა კ. ბუხანცევი (მოსკოვი), რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზეა უ. პალუ (ესტონეთი, 6.330 ქულა).

სტადიონის ჩრდილოეთ ტრიბუნის მძლეოსნურ სექტორზე არიან გამორბენით სიმაღლეზე მხტომელი ქალები — ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენები. საინტერესო ბრძოლის შედეგად აქ უძლიერესი აღმოჩნდა მოსკოველი მძლეოსანი, სპორტის ოსტატი მ. პისარევა. იგი გადახტა 166 სანტიმეტრზე და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ვ. ბალოდმა (უზბეკეთი, 163 სანტიმეტრი), მესამე — ნ. კოსოვამ (ლენინგრადი, 160 სანტიმეტრი).

ვაჟთა შორის ბირთვის მკვრელთა ფინალურ შეჯიბრებაში 6 მძლეოსანი ჩაება. ესენი იყვნენ ო. გრიგალკა (მოსკოვი), ვ. ოვსეპიანი (სომხეთი), ფ. პორტსი (ესტონეთი), გ. ფეოდოროვი (მოსკოვი), ბ. ბალიაევი (მოსკოვი) და ვ. ციბულენკო (უკრაინა). აქ თავი ისახელა სომხეთის გუნდის წარმომადგენელმა ვ. ოვსეპიანმა, რომელმაც ბირთვი ჰკრა 17 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე. სსრ კავშირის ჩემპიონის ვ. ოვსეპიანის შედეგზე 11 სანტიმეტრით ნაკლები აღმოჩნდა ფ. პორტსის მიღწევა. მან მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილი შედეგით 16 მეტრი და 81 სანტიმეტრი ო. გრიგალკას ხვდა.

სტარტი მიეცა ვაჟთათვის 400 მეტრზე თარჯრბენის მონაწილეებს, რომელთა რიგებში იყვნენ ი. ლიტუევი (მოსკოვი), ვ. კუმუშკა (ლატვია), ი. ილინი (მოსკოვი), ს. კრიცშტეინი (უკრაინა) და ა. იულინი (ბელორუსია). თავიდან დაწინაურდა ი. ლიტუევი და ფინიშთან პირველი მივიდა. მან აჩვენა დრო — 51,5 წამი. მომდევნო ორ ადგილზე გამოვიდნენ ი. ილინი (51,9 წამი) და ა. იულინი (52,6 წამი).

დაბრკოლებებით 3.000 მეტრზე რბენის ფინალში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 9 სპორტსმენი. დასაწყისში ბრძოლა თითქმის თანაბარი სიძლიერით მიმდინარეობდა. ფინიშამდე დარჩენილ ორი წრის შემდეგ მოწინააღმდეგეებს დიდი სისწრაფით გამოეყო ს. რჟიშჩინი (მოსკოვი), რომელმაც ფინიში პირველმა გაჰკვეთა. ჩემპიონმა ს. რჟიშჩინმა აჩვენა დრო — 8 წუთი და 49,6 წამი. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ვ. კაზანცევმა (მოსკოვი, 8.55,8) და მ. სალტიკოვმა (ბელორუსია, 8.56,8).

წინასწარი შეხვედრებით გამორკვეული იყო, რომ ვაჟთათვის 200 მეტრზე რბენის ფინალში მონაწილეობას მიიღებდა 6 სპორტსმენი — ვ. ტოკარევი (მოსკოვი), ა. იგნატიევი (ლენინგრადი), ი. კონოვალოვი (აზერბაიჯანი), ლ. ბარტენევი (უკრაინა), მ. მანდელბაუმი (მოსკოვი) და ვ. მარინი (მოსკოვი). აქ ფინიშთან ყველას აჯობა ა. იგნატიევმა, რომელმაც მანძილი 21 წამში გაირბინა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოსულმა ვ. ტოკარევმა აჩვენა დრო — 21,2 წამი. მესამე ადგილი დაიკავა ი. კონოვალოვმა (21,3 წამი).

ამ დღეს გაიმართა აგრეთვე ფინალური შეჯიბრება შუბის ტყორცნაში ქალთათვის. დასკვნით ასპარეზობაში მონაწილე სპორტსმენებიდან პირველობა ხვდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენს ა. ჩუდინას (მოსკოვი), რომელმაც შუბი 50 მეტრსა და 35 სანტიმეტრზე ტყორცნა. მომდევნო ადგილებზე არიან ე. გორჩაკოვა (მოსკოვი) და ლ. მარგუმაე (ესტონეთი).

17 ნოემბერი ჩემპიონატის უკანასკნელი დღეა.

18 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება უძლიერეს მძლეოსანთა გამოსვლები ახალი რეკორდების დასამყარებლად.

* * *

**სურათზე:** სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონები: მარცხნიდან — ა. ჩუდინა (ხუთჭიდი, შუბის ტყორცნა), გ. ზიბინა (ბირთვის კვრა), ვ. ჩერნობაი (ჭოკით სიმაღლეზე ხტომა), გ. დოლჟენკოვა (80 მეტრზე თარჯრბენი).

## ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

# გამფლანგველებს ღირსეული სასჯელი

თბილისის აბანო-საპარიკმახეროებისა და სამრეცხაოთა ტრესტის საპარიკმახეროთა გაერთიანების უფროსი ბუღჰალტერი რუსუდან ელიავა და მოლარე თამარ დოდელია ერთმანეთს ეცილებოდნენ საზოგადოებრივი ქონების დატაცებაში, სახელმწიფოს ხარჯზე ფუფუნებით ცხოვრებასა და დროს ტარებაში, მაგრამ მათი ბოროტმოქმედების კვალს მიაგნეს და ბრალდებულის სკამზე დასვეს.

პროცესზე აშკარა გახდა, რომ რ. ელიავა და თ. დოდელია შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ, სისტემატურად მალავდნენ საპარიკმახეროებიდან მიღებულ თანხებს, მთლიანად არ ატარებდნენ შემოსავალში და ამ გზით ასეულ ათასობით მანეთს ითვისებდნენ.

ნაძირალებმა ამაოდ სცადეს თავის დაძვრენა. ჯერ რამდენიმე თვეს მიიმალნენ, შემდეგ ყალბი დოკუმენტები მოიშველიეს, მაგრამ კომბინაციების ღრმა კვალი ვერ მოშალეს, ბუღჰალტერიაში მათ მიერ შედგენილი დოკუმენტები და ყველა ჩანაწერი აშკარად მეტყველებენ, რომ შემოსავლის ხელოვნური შემცირებით ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი თანხა მიითვისეს.

ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ვ. კერესელიძის თავმჯდომარეობით რუსუდან სიმონის ასულ ელიავას და თამარ ევგენის ასულ დოდელიას მიუსაჯა თვითეულს 25 წლის პატიმრობა შრომაგასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. სასამართლომ ორივე ბრალდებულს დააკისრა მითვისებული თანხის — 508.300 მანეთის გადახდა აბანო-საპარიკმახეროებისა და სამრეცხაოთა ტრესტის სასარგებლოდ.

**გ. ხინგავა.**

რედაქტორის მოადგილე **რ. ქურციკიძე.**

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ, რომელსაც ნ. მ. პეგოვი მეთაურობს, ინახულა ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი გელერტის მთაზე, და გვირგვინით შეამკო იგი.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ სახელმწიფო კრების თავმჯდომარე შანდორ რონაი, სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მოადგილეები, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბელა ვეგი, ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კალმან პონგრაცი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები ელჩის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

# ნ ო რ ვ ე გ ი ა

## (ც ნ ო ბ ა)

საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფებიან ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი მეუღლით, ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი მეუღლით, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰეიბერგი და ნორვეგიელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

ამ ვიზიტის მიზანია ხელი შეუწყოს ორივე ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

საბჭოთა და ნორვეგიელი ხალხების სურვილს — ცხოვრონ კარგი თანხმობით და თანამშრომლობით — ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ ნორვეგია და საბჭოთა კავშირი არა მარტო ახლო მეზობლები არიან ჩრდილოეთში, არამედ საერთო სახმელეთო საზღვარიც აქვთ.

ნორვეგია პარლამენტური მონარქიაა. მას მართავენ კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც მიღებულია ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს (შემდგომი ცვლილებებით) და ითვალისწინებს, რომ საკანონმდებლო ძალაუფლება ნორვეგიაში ეკუთვნის სტორტინგს (პარლამენტს), რომელსაც 4 წლით ირჩევენ, ხოლო აღმასრულებელ ძალაუფლებას ახორციელებს მეფე მინისტრთა კაბინეტის მეშვეობით. ამჟამად ნორვეგიის მინისტრთა კაბინეტი შედგება მუშათა (სოციალ-დემოკრატიული) პარტიის წევრებისაგან. ამ პარტიას სტორტინგში ადგილების უმრავლესობა აქვს. სტორტინგში წარმოდგენილი არიან აგრეთვე კონსერვატიული პარტია (ჰეირე), ლიბერალური (ვენსტრე), გლეხთა, ქრისტიანთა სახალხო და კომუნისტური პარტიები. კომპარტიას სტორტინგში სამი ადგილი აქვს.

ნორვეგიის ტერიტორიას სკანდინავიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უკავია. მისი ფართობი უდრის 324,2 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა — 3,4 მილიონს. დედაქალაქია ოსლო. ნორვეგიის ტერიტორია გრძელ, წვრილ ზოლად არის გაჭიმული სკანდინავიის სანაპიროს გაყოლებით. მას ჩრდილოეთით აკრავს ბარენცის ზღვა, დასავლეთით და სამხრეთით ნორვეგიისა და ჩრდილოეთის ზღვები. ნორვეგიას ეკუთვნის არქიპელაგი სვალბარდი (შპიცბერგენი) ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, კუნძული იან-მეიენი ატლანტის ოკეანეში და კუნძულები ბუვე და პეტრე პირველისა ანტარქტიკაში.

ნორვეგია მთიანი ქვეყანაა. მისი სანაპირო ხაზი ძლიერ დასერილია. ნორვეგიის ფართობის 71 პროცენტი სკანდინავიის მთიან მასივებს უჭირავს. მთებში უხვად მოიპოვება ძვირფასი მადნეული — პირიტი, სპილენძი, თუთია, ნიკელი, რკინა და სხვ. მთიან რაიონებში კარგი საძოვრებია. ნორვეგიის ფართობის ერთ მეოთხედამდე ტყეებს უჭირავს. მისი ტერიტორიის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ მიწათმოქმედებისათვისვარგისი რაიონები, რომლებიც უმთავრესად მდინარეთა გაყოლებით მდებარეობენ. ნორვეგიაში ბევრია წყალუხვი და სწრაფი მდინარე, რომლებზეც ბევრი ჩანჩქერია.

ნორვეგია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მას დიდად განვითარებული მომპოვებელი და დამმუშავებელი მრეწველობა აქვს. მრეწველობის დარგებიდან აღსანიშნავია მეტალურგია და ლითონდამუშავება, ხის დამუშავება და ცელულოზის წარმოება. ნორვეგიის მრეწველობაში დიდი ადგილი უჭირავს უცხოეთის კაპიტალს, უწინარეს ყოვლისა ამერიკისა და ინგლისის კაპიტალს.

ნორვეგიის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს სავაჭრო ნაოსნობა და საზღვაო რეწვა. სავაჭრო ფლოტის ტონაჟის მიხედვით ნორვეგია მეორე მსოფლიო ომამდე მხოლოდ ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნაწილობრივ იაპონიას ჩამოუვარდებოდა.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა, რომელშიც სჭარბობს სარძეო მეურნეობა. მიწათმოქმედებაში მისდევენ შვრიის, ქერის, საკვები ჭარხლისა და სხვ. თესვას. მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქცია შედარებით უმნიშვნელოა და ვერ აკმაყოფილებს ნორვეგიის მოთხოვნილებას სურსათზე.




მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჰიტლერულმა ოკუპაციამ დიდი ზარალი მიაყენა ნორვეგიას. ოკუპანტებმა ვერ გატეხეს ნორვეგიელი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. ნორვეგიის განთავისუფლება ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან 1944 წელს პირველმა დაიწყეს საბჭოთა ჯარებმა, რომელთა მხარდამხარ იბრძოდნენ ნორვეგიელი პატრიოტები.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ნორვეგიელმა ხალხმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ აღედგინა და განევითარებინა ნორვეგიის ეკონომიკა, განემტკიცებინა მისი დამოუკიდებლობა. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში და სავაჭრო ნაოსნობის აღდგენაში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი. სულ უფრო მტკიცდება ნორვეგიელი ხალხის მისწრაფება იმისადმი, რომ მისი ქვეყანა ახორციელებდეს სავსებით დამოუკიდებელ და ეროვნული ინტერესების შესაბამის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი წანამძღვრები არსებობს. საბჭოთა კავშირის და ნორვეგიის ურთიერთობის ისტორიას არ ახსოვს მათ შორის სამხედრო კონფლიქტები. ეს ურთიერთობა წარსულში ყოველთვის კეთილმეზობლური იყო. პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენმა ამას წინათ ქ. ბარენცბურგში კუნძულ შპიცბერგენზე თქვა: „ასეული წლების განმავლობაში ორივე ხალხი (ნორვეგიისა და ჩვენი ქვეყნისა. — გ. ტ.) მშვიდობით ცხოვრობდა, და მხოლოდ ერთხელ იყვნენ რუსეთის ჯარები ნორვეგიის მიწაზე. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა მათ ფინმარკში (ჩრდილოეთი ნორვეგია. — გ. ტ.) ჩვენ, ნორვეგიელები, გაგვათავისუფლეს ოკუპანტებისაგან“.

ახლა ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირს შორის არ არის ისეთი სადავო საკითხი, რომელიც ხელს უშლიდეს მათ შორის უაღრესად მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

ფართოვდება სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის. გახშირდა დელეგაციების გაცვლა. მარტო მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში იყვნენ ნორვეგიის სტორტინგის სოფლის მეურნეობის კომიტეტის, კულტურის მოღვაწეთა და ნორვეგიის თეატრების წარმომადგენელთა, ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანების და სხვ. დელეგაციები. ნორვეგიაში იყვნენ საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, მსახიობების რამდენიმე ჯგუფი, მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო საბჭოების დელეგაცია, საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები, სპორტსმენები.

საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობის განმტკიცება და განვითარება შეესაბამება არა მარტო ნორვეგიელი ხალხის, არამედ სკანდინავიის ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებსაც. ამ ურთიერთობის განმტკიცება კეთილნაყოფიერად იმოქმედებს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებაზე.

საბჭოთა ხალხი და ნორვეგიელი ხალხი გამსჭვალული არიან მისწრაფებით განამტკიცონ მშვიდობა. ეს მისწრაფება აახლოებს ორივე ქვეყანას, ხელს უწყობს მათ მშვიდობიან თანამშრომლობას და კეთილმეზობლობას.

**გ. ტატიშვილი.**

**დაიწყო ხელმოწერა 1956 წლისათვის**

განუსაზღვრელად ახალ ჟურნალებზე, პერიოდულობა—წელიწადში 6 ნომერი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „Вопросы вирусологии“ | წელიწადში | ღირს | 18 | მან. |
| 2. „Антибиотики“ | „ | „ | 18 | „ |
| 3. „Проблемы гемотологии и переливания крови“ | „ | „ | 18 | „ |
| 4. „Экспериментальная хирургия“ | „ | „ | 18 | „ |
| 5. „Медицинская радиология“ | „ | „ | 24 | „ |
| 6. „Вопросы охраны материнства и детства“ | „ | „ | 24 | „ |

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებსა და სააგენტოებში.

„სოიუზპეჩატი“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თელავის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **ირაკლი ტარასის-ძე ხაჩიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-XI თელავში.

შვილი სერაფიონ ოჯახით და ნათესავებით იუწყება **ვალენტინა ქაიხოსროს ასულ დაუშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-XI, 8 ს. გამოსვენება 20-XI, 3 ს. რიყიანაშვილის ქ. № 2.

მეუღლე ერმილე, შვილები მარგო, შოთა ოჯახებით იუწყებიან **ანა ივანეს ასულ გაბეჩავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-XI, 8 ს. გამოსვენება 20-XI, 2 ს. კრილოვის ქ. № 8.

მეუღლე ვალია, შვილები ლამარა, ციცანა, დები გოგონა, მარგალიტა, ძმები აბესალომ, ტარას, სერგო, ვახტანგ ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე უჯმაჯურიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19-XI, 7 ს. გამოსვენება 20-XI, 2 ს. ფიგნერის ქ. № 36.

შვილები ნუნუ, ნუცა, მუკურა ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან **ცუცა ბესარიონის ასულ ერისთავი-გუნცაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XI სოფელ კვალითში (ზესტაფონის რაიონი).

დედა ნინო, და ანეტა, ძმები ანტონ, კოლია ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **მარო ალექსის ასულ ადიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19-XI, 8 ს. გამოსვენება 20-XI, 2 ს. ნორიოს აღმართი № 17.

შვილები ნინო, ნასტია, გიორგი, მარო, გივი, თემურ, დალილა იუწყებიან **ერისტო დიმიტრის-ძე ლომიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-XI, 8 ს. გამოსვენება 20-XI, 4 ს. ვარაზისხევი № 4.

მშობლები ფაცია, ნიკოლოზ, მეუღლე ნათელა ბაქრაძე იუწყებიან ექიმ **სპარტაკ ნიკოლოზის-ძე მელქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XI, 4 ს. ქუთაისში. გამოსვენება ნინოშვილის ქ. № 9.

მშობლები მიხეილ, ნატაშა, და ნუნუ, ძმები გივი, ომარ ნათესავებით იუწყებიან **ჯუმბერ მიხეილის-ძე უგლავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-XI ქ. ქუთაისში.

შვილები ნადია, ელენე, ალექსანდრა, მიშა ოჯახებით იუწყებიან **დომნა მიხეილის ასულ რუხაძე-ბალავაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-XI, 8 ს. გამოსვენება 19-XI, 4 ს. ბარნოვის ქ. № 70.

დედა სონა, მეუღლე ნასტია, შვილები ბაბუა, სოსო, ძმები კოტე, პლატონ, დები ტასო, თინა ოჯახებით იუწყებიან **დავით ნესტორის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-XI, 8 ს. გამოსვენება 20-XI, 3 ს. ფაბრიკის ჩიხი № 4.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 06940 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.